ქართველნო, თუ მტერს ვებრძვით, ერთმანეთს რატომ ვჭამთ?!

საქართველოს

რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-კვირა, 22-23 ივნისი. 2019 წ. №124 (8790) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ნაცებმა ისევ მიაღწიეს მიზანს, ისევ აგვარევინეს ქვეყანა!

ირაკლი კობახიძემ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა

ამის შესახებ განცხადება „ქართული ოცნების" ცენტრალურ ოფისში პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ პარტიის გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ გააკეთა. ირაკლი კობახიძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ 2016 წლის 18 ნოემბერს აირჩიეს.

„ქართული ოცნების" მიერ დამკვიდრებული მაღალი სტანდარტი

„საქართველოს პარლამენტში გამართული საპარლამენტთაშორისო მართლმადიდებლური ასამბლეის დროს განვითარებულმა მოვლენებმა მძიმე სურათი შექმნა და საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია, რომლის სოლიდარულიც იყო ჩვენი პოლიტიკური გუნდი და მისცა შესაბამისი, მკაცრი შეფასებები. „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ამკვიდრებს საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტს და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი ქმედებებით. ამ მაღალი სტანდარტის ანგარიშვალდებულების კიდევ ერთი გამოხატულებაა დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების შესახებ.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს გადაწყვეტილება არის საზოგადოების წინაშე არსებული მაღალი ანგარიშვალდებულების გამოხატულება და არა უპასუხისმგებლო, დესტრუქციული ძალების დღის წესრიგის გაზიარება. ამ ძალებს თავად აქვთ პასუხი გასაცემი, როგორც კანონის და საზოგადოების წინაშე იმ მასობრივი ძალადობის ორგანიზებისთვის, რომელსაც დილამდე ადევნებდა თვალს პირდაპირ ეთერში ქართველი საზოგადოება. აქვე, არ შემიძლია ხაზი არ გავუსვათ ქართული პოლიციის როლს, რომელმაც უმაღლესი თმენის ვალდებულება გამოიჩინა და ლეგიტიმური ძალა გამოიყენეს მხოლოდ უკიდურესად მძიმე ვითარებაში. ვითარებაში, როდესაც მიდიოდა მასობრივი ძალადობის ორგანიზება, რომელიც ემუქრებოდა სამოქალაქო მშვიდობასა და კონსტიტუციურ წესრიგს".

ზაქარია ქუცნაშვილმა დეპუტატის თავისუფალი მანდატი დატოვა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა დეპუტატის მანდატი დატოვა.

„არ იქნება სწორი, პარლამენტის თავმჯდომარე გადადგეს და მისი გუნდის წევრი დარჩეს თანამდებობაზე. მე თანამდებობა არ მაქვს და ვტოვებ დეპუტატის თავისუფალ მანდატს", — განაცხადა ქუცნაშვილმა.

პოლიტიკა, რომელიც ზედმეტი ჩაბერვისგან გამსკდარ ბურთს დაემსგავსა

რუსთაველზე განვითარებული მოვლენების აღწერას არ დავიწყებ, რადგანაც თავად პროცესის მიმდინარეობა ყველამ კარგად იცის. უბრალოდ, ყურადღება მინდა გავამახვილო იმ მთავარ საკითხზე, რითაც ნელ-ნელა ქვეყანა იქით მიდიოდა, რომ მომხდარიყო ის, რაც მოხდა.

პირდაპირ ვიტყვი, რომ სააკაშვილის ოცნება, საქართველოში კიდევ ერთი რევოლუცია მოახდინოს — დამთავრდა.

დამთავრდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რევოლუციები ცოტა სხვანაირად კეთდება. არც იმ კლასიკურ მიზეზებზე ვისაუბრებ, რასაც სახალხო აჯანყებები მოჰყვება ხოლმე. არ ვისაუბრებ, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ძალიან კარგად არის განმარტებული სხვადასხვა ლიტერატურაში და მათს გადმოწერას აზრი არა აქვს. უბრალოდ ვიტყვი, რომ სააკაშვილის (ამ შემთხვევაში სწორედაც რომ სააკაშვილის და მისი რამდენიმე ფანატიკოსი მხარდამჭერის) მანიაკური იდეა დამთავრდა.

დამთავრდა იმიტომ, რომ არც სააკაშვილია პარვუსი, არც მელიაა მატროსი ჟელეზნიაკი და არც სალომე სამადაშვილია ალისა რეისნერი. მითუმეტეს, არც მაჭუტაძეა მარატი და არც ეს ჩერნიშევსკის პროვოკაცია ვაშაძეა რობერსპიერი.

ისინი ჩვეულებრივი თაღლითები და ფულზე დახარბებული არამზადები არიან, რომლებსაც არ გააჩნიათ ორი უმთავრესი თვისება — ჭკუა და სიყვარული.

ჭკუა იმისთვის, რომ გააკეთონ ის საქმე, რაც უყვართ. მათ მხოლოდ ფული და ძალაუფლება უყვართ. ეს კი აქვთ და სხვაგან არ იხედებიან.

ასე რომ, ახლა რაც არ უნდა იკრიახოს გვარამიამ, რაც არ უნდა იბორგოს ლაშა ბუღაძემ, რევოლუციობანას თამაში დამთავრდა.

ეგაა და ეგ...

იხ. 3 გვ.

დედაეკლესია: ეს იყო ხელისუფლების შეცდომა, რომელსაც მოჰყვა ხალხის სამართლიანი, მშვიდობიანი პროტესტი

— დიდია ჩვენი გულისტკივილი პარლამენტთან შუაღამისას განვითარებული მოვლენების გამო, რის შედეგადაც დაშავდა მრავალი ადამიანი, მეტწილად ახალგაზრდები.

ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ათასობით ახალგაზრდა სამშობლოს ღირსების დასაცავად გამოვიდა რუსთაველზე და თავისი სამართლიანი გულისწყრომა გამოხატა პარლამენტის სხდომათა დარბაზში რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს იმ წევრის თავმჯდომარეობის გამო, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

ეს იყო ხელისუფლების შეცდომა, რომელსაც მოჰყვა ხალხის სამართლიანი მშვიდობიანი პროტესტი; მაგრამ არამართებული მოწოდებებით მიტინგს სახიფათო სახე მიეცა, მოვლენები მყისიერად განვითარდა და პარლამენტის შენობის ძალით დაკავების მცდელობაში გადაიზარდა. ვფიქრობთ, საჭიროა, ხელისუფლებამ სასწრაფოდ გამოიძიოს მიზეზები და სათანადო სტრუქტურებმა, მასმედიამ და ექსპერტებმა მიუკერძოებელი შეფასებები გააკეთონ როგორც მომხდართან დაკავშირებით, ისე ზოგად-პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში, რათა საზოგადოებას არსებული ვითარების გააზრების საშუალება მიეცეს, შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა და პროცესებმა სამოქალაქო დაპირისპირების სახე არ მიიღოს.

ღმერთმა მოგვცეს ძალა, რომ ჩვენმა ხალხმა ეს გამოწვევები დაძლიოს და მათ ღირსეული პასუხი გასცეს.

მამუკა ბახტაძე: სამართლებრივი შეფასება მიეცემა დესტრუქციულ ოპოზიციას, ვინც ხელყო კანონი და კონსტიტუცია

ჩვენ ყოველი მიზეზის გარეშე უზრუნველვყოფთ, რომ სამართლებრივი შეფასება მიეცეს უპასუხისმგებლო და დესტრუქციული ოპოზიციის იმ ლიდერებს, ვინც ხელყო კანონი და კონსტიტუცია, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ. მისივე თქმით, პასუხს მოსთხოვენ თავიანთი გუნდის იმ წევრებს, რომელთა მძიმე შეცდომებმაც შექმნა კრიზისული ვითარება.

„ხვალ, რასაკვირველია, პროცესები გაგრძელდება — ჩვენ სიტყვას არ გადავალთ, არ გავექცევით პასუხისმგებლობას და პასუხს მოვთხოვთ ჩვენი გუნდის იმ წევრებს, რომელთა მძიმე შეცდომებმაც შექმნა ეს კრიზისული ვითარება. მათ მოუწევთ პასუხის გაცემა გუნდის და საზოგადოების წინაშე. იმავდროულად, ჩვენ ყოველი მიზეზის გარეშე უზრუნველვყოფთ, რომ სამართლებრივი შეფასება მიეცეს უპასუხისმგებლო და დესტრუქციული ოპოზიციის იმ ლიდერების მოქმედებას, ვინც ხელყო კანონი და კონსტიტუცია.

ჩვენი ამოცანაა სიტუაციის დეესკალაცია. საერთაშორისო საზოგადოება და დიპლომატიური კორპუსი სრულად ინფორმირებულია, თუ როგორ ვითარდებოდა პროცესები დღეს.

ვპირდებით საზოგადოებას, რომ ამ პირებს სრულად მოუწევთ პასუხისმგებლობის გაზიარება მათ მიერ ორგანიზებულ მასობრივი არეულობასა და დესტაბილიზაციის მცდელობაზე. საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ სიმშვიდისკენ. ხელისუფლება დაიცავს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს“, — განაცხადა ბახტაძემ.

გიორგი გახარია: სანამ ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრა, პოლიციელები უბრალოდ იდგნენ და იცავდნენ თავს!

პოლიციამ ბოლომდე მაქსიმალურად გამოიყენა თმენის ვალდებულება — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი გახარიამ ჟურნალისტებს გუშინ აქციაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განუცხადა. მისი თქმით, ეს იყო რთული აქცია და რთული პროცესი.

„კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, რომ პოლიციამ ბოლომდე, მაქსიმალურად გამოიყენა თმენის ვალდებულება, სანამ ადამიანების სიცოცხლეს არ დაემუქრა საფრთხე, პოლიციელები საერთოდ არ განძრეულან, უბრალოდ იდგნენ და იცავდნენ თავს. იქ, სადაც გადამეტების კონკრეტული ფაქტი იყო, რა თქმა უნდა, ჩვენ დეტალურად შევისწავლით“, — განაცხადა შს მინისტრმა. ამასთან, გიორგი გახარიას განცხადებით, რაც მთავარია, პოლიციამ სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით აღძრა ძიება, რაც ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას ნიშნავს.

„დეტალურად შევისწავლით ყველაფერს. ყველა ადამიანი, რომელიც მოუწოდებდა, მოახერხა და ორგანიზება გაუწია მშვიდობიანი აქციის ძალადობრივ აქციაში და პარლამენტისა და პოლიციელების წინააღმდეგ შტურმში გარდაქმნას, უმკაცრესად იქნება დასჯილი“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ლინას ლინკევიჩუსი: თავიდან აიცილეთ ძალადობა!

ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩუსი საქართველოს პარლამენტთან მომხდარი შეტაკებების შემდეგ ქართველებს ძალადობის თავიდან აცილებისკენ მოუწოდებს.

„გვესმის უკმაყოფილების, თუმცა გვსურს, მოვუწოდოთ როგორც მთავრობას, ისე საპროტესტო აქციის მონაწილეებს, დაიცვან კანონი და კონსტიტუცია და თავიდან აიცილონ ძალადობა“, — განაცხადა ლინას ლინკევიჩუსმა. დიპლომატის თქმით, ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტრო ყურადღებით აკვირდება საქართველოში შექმნილ ვითარებას და თბილისში თავის საელჩოსთან კონტაქტზე იმყოფება. **„როგორც გვესმის, გაკეთდა მოწოდებები პროტესტის გაგრძელებისკენ, ამიტომ მოვუწოდებთ ხალხს, დაიცვან კანონი“,** — აღნიშნა ლიეტუველმა დიპლომატმა.

ერთობ სულის შემძვრელი განცხადება გააკეთა გუშინ ესტონეთის საელჩომ

„როდესაც სიტყვები რეზინის ტყვიებად გადაიქცევა, ადამიანებს ცრემლი გაზის გამო სდით, ჩვენ თქვენთან ერთად ვტირით ქართველებო. ჩვენ აქტიურად ვადევნებთ თვალს საქართველოს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებს. გვესმის ის ტკივილი, რომელსაც დღეს ბევრი ადამიანი განიცდის. ყველა მხარეს ვურჩევთ, შეინარჩუნონ სიმშვიდე, იყვნენ თავშეკავებულები და იმოქმედონ სამართლისა და კონსტიტუციის ფარგლებში“...

საქართველოს **რკინიგზა და პორტები; ბანკები, ჰესები, ენერგომაგისტრალები, გაზი, დენი, ნავთი და ბენზინი, ტყეები, მდინარეები და თბილისის წყალიც, საგარეო და საშინაო პოლიტიკა, პარლამენტი რუსეთის „მაიორატის“ ქვეშ რომაა, ახლა აღმოაჩინეთ, ის ერთი სავარძელი რომ დაგენანათ?**

სერიოზულად კი საქმე შემდეგშია!

გავრილოვის მესიჯს, რომ ეს ქვეყანა რუსეთის საკუთრებაა და პარლამენტშიც, რომელ სავარძელშიც მინდა, იმაში ჩავჯდებიო, კონკრეტული ადრესატი ჰყავს და ეს ადრესატი საქართველო არ არის!

ამიტომ, ძვირფასებო, ახლა მაგ გზავნილზეა სალაპარაკო და არა იმ, ძალიან სასაცილო ამბიციაზე, ეს როგორ გაგვიბედაო?!

რას ამბობ, კაცო!

ჯერაც არაფერი გაუბედავთ და ეს თავხედობაც პირველია, ხომ იცი! (?!)

გავრილოვის მესიჯს კონკრეტული ადრესატი ჰყავს!

ყველაზე დიდი უბედურება სწორედ ის არის, რუსეთის ამ გამოხდომასთან სწორედ ჩვენ რომ არაფერ შუაში არა ვართ!

ფაქტი ეს არის და ხვალზეგ მოსკოვის „აღებას“ ტყუილად ნუ ეცდებით!

რაც შეეხება ნამდვილ ადრესატს, დარწმუნებული ვარ (თანაც ღრმად), რომ მისი მხრიდან ამ შემთხვევას სერიოზული, მონსტრის რეაქცია მოჰყვება და არა ჩვენნაირი!

თუ ბოლოდროინდელ განცხადებებსაც (რასაც ჩვენში პრაქტიკულად არავინ კითხულობს) გადახედავთ, დარწმუნებული იყავით, რომ მისი რეაქცია რუსეთს ძალიან ძვირად დაუჯდება!

სასაცილო კი, მართლა სატირალი რომ არ იყოს, ის არის, რომ პოლიტიკურად არც აქ ვიქნებით შუაში და აქაც იგნორირებული ვიქნებით, როგორც სახელმწიფო!



მერაბ ხაჩიძე

პოლიტიკა, რომელიც ზედმეტი ჩაბერვისგან გამსკდარ ბურთს დაემსგავსა

(პირველი გვერდიდან)

როდესაც საუბრობენ, „ნაცებმა პროვოკაცია მოაწყვესო“, არ მესმის.

არ მესმის, ამ შემთხვევაში რას ნიშნავს სიტყვა „პროვოკაცია“.

მოდით, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი და ვთქვათ, რომ ის, რაც მოხდა, არა ნაცების ჩახლართულმა სვლებმა და რამდენიმე სვლით ადრე გათვლილმა ნაბიჯებმა, არამედ „ოცნების“ ზოგიერთი დეპუტატის თავკერძობამ, პოლიტიკის აბსოლუტურად უცოდინარობამ, საზოგადოების განწყობებისა და მოთხოვნების აბსოლუტურმა იგნორირებამ და უმთავრესმა — საზიზღარმა კოჰაბიტაციამ, ნაცებისა და ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მონურმა მორჩილებამ გამოიწვია.

ის, რომ „ოცნების“ ბევრი დეპუტატი საერთოდ დასცილდა არსებულ რეალობას, კარგად გამოჩნდა ბოკერია-სააკაშვილის რეჟიმის შეფასების რეზოლუციის განხილვის დროს.

არსებული რეალობისგან სრული მოწყვეტა იყო უჩა ნანუაშვილის შემდეგ სახალხო დამცველად ასჯერ უარესი „ნანუაშვილის“, — ნინო ლომჯარიას არჩევა.

ფრაზა **„არ ვიცოდი, თუ ასეთი რეაქცია მოჰყვებოდა“,** რაც ზოგიერთმა დეპუტატმა ნინია კაკაბაძის საზმაუს ბორდში არჩევის შემდეგ გააკეთა, საბოლოოდ ახადა ფარდა ამ ხალხის დამოკიდებულებას საზოგადოების განწყობის მიმართ (და, რაც საოცარია, ეს ფრაზა გუშინწინაც გაახმიანა ქალბატონმა თამარ ხულორდავამ).

ირაკლი კობახიძის მიერ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს ფილარმონიაში შეკრებილ ხალხთან დაპირისპირება და ხალხისთვის „კომუნისტების“ ძახილით შეურაცხყოფის მიყენება (ამ მარაზმზე სტატიაც გამოვაქვეყნე ჩვენს გაზეთში), განუსჯელად ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური და კიდევ მრავალი სხვა მაგალითი თავკერძობის და რეალური პოლიტიკის სრული არცოდნის მაჩვენებელი იყო.

ინიციატივის არქონა და დავალებული საქმის უგულოდ კეთება, პრინციპი **„ოღონდ არაფერი გავაფუჭო და არაფერს გავაკეთებ“** და იმის ლოდინი, როდის გაკეთებს მათ გასაკეთებელ საქმეს ბიძინა ივანიშვილი, ბევრჯერ გამოჩნდა. მაგ: დიმიტრი ხუნდაძის „ინიციატივა“ მედიაში ცილისწამებისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელების შესახებ რაღაც კანონზე, რომლის გახმიანებაც არ დაესრულებინა, რომ ნიკა გვარამიას უკვე ნაჩივლები ჰქონდა.

არანაირი პოლიტიკური დებატები, სადაც საზოგადოების რეალური ინფორმირება მოხდებოდა და უამრავი, ერთი შეხედვით წვრილმანი რამ, რამაც მსგავსი შედეგი დააყენა. აქ ვინმემ მიმდინარე პროცესების გამომწვევი მიზეზი შეიძლება დააკნინოს და ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ მომხდარ ბუნტს შეადაროს, სადაც დაპირისპირება ბორშჩში ნაპოვნმა მატლმა გამოიწვია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის.

ვიღაცის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის სკამის დაკავება პარლამენტარიზმის შეურაცხყოფაა და როგორც პარლამენტარიზმის იდეის, ასევე ხალხის შეურაცხყოფაა ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენლის მიერ, სახელმწიფოს მეორე პირის სავარძლის დაკავება.

აი, ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა ხალხის დიდმა ნაწილმა. ვერ აიტანა და პარლამენტთან მივიდა, რაც ნაცებმა ძალიან კარგად გამოიყენეს და მივიღეთ ის, რაც ვნახეთ.

ის მოწოდებები, რაც „რ2“-ის ეთერით ისმოდა, ზუსტად აჩვენებდა იმ შეხლა-შემოხლის დაუგეგმავ და აშკარად მოუმზადებელ ხასიათს, აშკარად მოუმზადებელს, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ მიუხედავად მელიას „მრისხანე მოწოდებისა“, არც მან და არც სხვებმა არ იცოდნენ პარლამენტის შენობაში შელწევის შემთხვევაში რა უნდა ეძნათ.

ბოკერიამ, გვარამიამ და მათმა ხროვამ ძალიან კარგად იციან, რომ მათ მიერ გახმიანებული ნებისმიერი, თუნდაც ძვეყნისთვის უაღრესად საჭირბოროტო წინადადება, ხალხში საშინელ ანტიპათიას იწვევს და დაპირისპირების მუხტს აღძრავს.

ეს ყველაფერი ძალიან კარგად იციან და დასავლური, ცივილიზებული ურთიერთობების დასამკვიდრებლად თავიანთ გამაღიზიანებლად მდარე „კაჩაობით“ საზოგადოების გაღიზიანებას და ევროპული სტრუქტურების თვალში ძართველების იმ ბნელ, განუვითარებელ ხალხად წარმოჩენას ახდენენ, რომელთა „გადარჩენა“ მხოლოდ მათ შეუძლიათ.

სამწუხაროდ, მედიასთან ჯანსაღ კომუნიკაციას მოკლებული საზოგადოება, ჩავარდნილი კოლექტიური თავკერძა ძუცნების ხელში. იმ ძუცნების, ბოკერვილების და ათასი ოხერ-მამაძაღლის, რომლებიც თავიანთი უვიწროესი აზროვნების ნაყოფებს ყოვლად საზიზღარი მეთოდებით ახორციელებენ.

ამ მარაზმში კი ხალხი — ის, შენ და მე ვიჭყლიტებით!

ჩემდა სამწუხაროდ, ნამდვილად არ გამკვირვებია, რომ ეს ჩემი კოლეგები საერთოდ ამოვარდნენ რეალობიდან.

მინდა, მივმართო ზოგიერთი ინტერნეტ-გამოცემის „ჟურნალისტებს“: ვის აინტერესებს სოფო ნიჟარაძის და სტეფანეს აღშფოთება, დიდი ამბით რომ იზიარებდით, თუ ისინი თქვენი გონებისთვის დიიიდ ავტორიტეტებს წარმოადგენენ და დარწმუნებულნი ხართ, რომ ხალხი მათს მოსაზრებებს რომ გაიგებს, იტყვის — უი, შეხედე, სტეფანე და სოფოც გმობენო.

კარგით რა, გეყოფათ ეს სისულელეები.

ბარემ კესარიას და რომელიმე ცირკის პუტანკას კომენტარებიც გაგვაგებინეთ!

ნაცების პოზიცია გასაგებია, არეულობა უნდათ და ჰგონიათ, რომ ამით რევანშს უფრო უახლოვდებიან, მაგრამ ამ ტიკი-ტომრებს, ანუ ე.წ. ახლად გამოჩეკილი „პარტიების ლიდერებს“ მჯიღებს რომ იცემენ გულში და ვითარების „შეფასებას“ ცდილობენ, იმ მიზნით, რომ, იქნებ მიჰამ მეც ნახირში გამრიოსო, რისი იმედი აქვთ?

ნაცებს რომ თავი დავანებოთ, მეტი საქმე არა აქვთ მაჭუტაძეს, ან ჩვენთვითონა დავითაიას, ჩაიჩოჩონ და „გაერთიანებული ოპოზიციისთვის“ გამოყოფილი მაყუთიდან, გუბაზას რამე გაუყონ (საარჩევნო სიაში ადგილებზე ხო ლაპარაკიც არაა. იქ თვითონ ნაცპარტაქტივისტები დადგებიან მედგრად).

„ოცნებამ თუ თავის შიგნით რადიკალური ზომები არ გაატარა , განსაკუთრებით იმ დეპუტატების მიმართ, ვინც უკვე მერამდენედ „საქმის კურსში არ არის, თუ რა ხდება“, ან „არ ელოდა, რომ ასეთი რეაქცია მოჰყვებოდა“, მოვლენები ან ქაოტურად განვითარდება, ან სიტუაციის მართვის სადავეებს, რომელიმე პოლიტიკური ძალა აიღებს თავის თავზე.

ეს მსგავსი მდგომარეობისთვის, ფაქტობრივად, ქრესტომათიული აქსიომაა. გაიხსენეთ ლენინის ფრაზა — „არის ასეთი პარტია“, ან 1933-ში ჰიტლერის რადიკალურად სწრაფი ქმედება ბუნდესტაგის კრიზისის დროს (კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება და, გთხოვთ, კომენტარებში ისტორიულ განხილვებს ნუ მომიწყობთ. მარტო გუგლი და ვიკიპედია კი არა, წიგნებიც მაქვს ხელმისაწვდომ ადგილას).

ვინ არის ასეთი პოლიტიკური ძალა და რამდენად შეუძლია ამის გაკეთება, ეს უკვე სხვა საკითხია. დღეს კი მხოლოდ ერთადერთი, საქართველოს „პატრიოტთა ალიანსი“ ჩანს ჰორიზონტზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ჰორიზონტზე.

მიუხედავად სხვადასხვა საჭირბოროტო და სასიცოცხლო საკითხთან დაკავშირებით, მათი რეალური პოზიციისა, „პატრიოტთა ალიანსი“ კადრების მკვეთრ ნაკლებობას განიცდის, რაც აუცილებლად მისახედია. 2020 წლამდე ამ პრობლემის გადასაწყვეტად საკმარისი დროა და ვნახოთ, როგორ მოიქცევიან.

წერილი კი მინდა, დავამთავრო მცირე ამონარიდით ნოდარ დუმბაძის იუმორისტული მოთხრობიდან „შვილების როლი მშობლების აღზრდის საქმეში“:

„როდესაც ბავშვი ხედავს მამას, რომელიც გალეწილი მთვრალი მოვიდა სახლში, სვამს კითხვას — დედიკო, რა მოუვიდა მამას? გამსკდარია! — პასუხობს დედა.

ბავშვი მაშინვე ზედმეტი ჩაბერვისგან გამსკდარ ბურთს წარმოიდგენს და ამბობს — გადავაგდოთ, და ახალი ვიკიდოთ!“

სამწუხაროდ, უკვე აშკარად ვხედავთ, რომ ეს „ჩვენი“ პოზიციაც, ოპოზიციაც და, ფაქტობრივად, მთელი პოლიტიკური სპექტრი უკვე გამსკდრები არიან და ნამდვილად ახლის ყიდვის დრო დგება.

გია გაბრიჭიძე

აქციებზე სულ 240 ადამიანი დაშავდა, მათგან 102 პაციენტი კლინიკებში რჩება

— ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზაზა ბოხუამ ინგოროყვას კლინიკაში განაცხადა, სადაც აქციებზე დაშავებული პაციენტები მოინახულა.

„კონკრეტულად ამ დაწესებულებაში იყო შემოყვანილი 46 პაციენტი. აქედან, 35 გაწერილია, 11 პაციენტი კი, რჩება. სხვადასხვა ტრავმასთან გვაქვს საქმე.

მთლიანად სტაციონარებში 240 პაციენტი იყო მიყვანილი, აქედან 80 პოლიციელია. პაციენტებს უტარდებათ ყველანაირი გამოკვლევა. ამჟამად 102 პაციენტი არის ჰოსპიტალიზებული და იმყოფება სხვადასხვა სტაციონარში. უმეტეს შემთხვევაში იყო ტრავმა, დაჟეჟილობა, დაბეჟილობა და თვალის ტრავმა“, — განაცხადა ზაზა ბოხუამ.

დემონსტრანტებმა ფილარმონიის წინ მანქანა ამოატრიალეს და დაამტვრიეს

დემონსტრანტებმა ფილარმონიის წინ გუშინ მანქანა ამოატრიალეს და დალეწეს. აქციის მონაწილეებმა რუსთაველის გამზირიდან ჯერ კოსტავას, შემდეგ კი მელიქიშვილის გამზირებზე გადაინაცვლეს და ბოლოს ჭავჭავაძის გამზირზე, თსუ-ს პირველი კორპუსის წინ გაჩერდნენ. მოგვიანებით, დემონსტრანტებმა ჭავჭავაძის გამზირზე არსებული გზის ჩამკეტი ბარიერები გამოიყენეს, რათა ვარაზისხევი ჩაეკეტათ. ბარიერების ნაწილით ისინი მეტროსადგურ „რუსთაველისკენ“ გაემართნენ. მათი თქმით, კვლავ პარლამენტთან აპირებენ მისვლას.

როგორც საქართველოს პირველი არხის კამერამ დააფიქსირა, აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ კორპუსის ფანჯარაში ქვა ისროლა.

პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში წამოსკუპებულმა **სერგეი გავრილოვმა** და ოკუპანტის ენაზე მისმა ამეტყველებამ ქართველებს ეროვნული თავმოყვარეობა შეულახა და სხვადასხვა ჯურისა და გემოვნების პოლიტიკოსები ერთად გაიყვანა რუსთაველზე საპროტესტოდ განწყობილ ხალხთან ერთად.

გავრილოვის ქმედებამ ქართველებს წარსულის პარალელები მოაგონა და გაახსენა, რომ ასე იყო მაშინაც, როცა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა და, როცა გაისმა მოღალატური სიტყვები: „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს“.

ზოგიერთმა ჩათვალა, რომ გავრილოვის ქმედება იყო ოკუპანტის მასტერკლასი საქართველოში და ეს ძალიან ჰგავდა უფრო წარსულში გადაშლილ მძიმე ფურცელს, როცა თბილისში შემოჭრილი ჯალალედინი გუმბათმორღვეული სიონის თავზე მოკალათდა და ბრძანა ზედ თავისი „ბილწი საჯდომლის“ დადგმა.

ქართველებმა გავრილოვი წყლის შესხმითაც გააგრილეს და სასწრაფოდაც გაისტუმრეს მოსკოვში თვითმფრინავით. გავრილოვი წავიდა, მაგრამ დედაქალაქში დაგვიტოვა ქაოსი და არეულობა. სერგეი გავრილოვის ვიზიტის გასაპროტესტებლად დედაქალაქის მთავარ ქუჩაში უამრავი ადამიანი გამოვიდა. აქციის მონაწილეებმა პარლამენტის ეზოში შეჭრა სცადეს, რასაც სპეცრაზმის მობილიზება მოჰყვა. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა აქციის მონაწილეებსა და პოლიციელებს შორის. პარალელურად **მიხეილ სააკაშვილმა** პოლიციას მოუწოდა, არ დაემორჩილოს ივანიშვილს და დადგეს ხალხის მხარეს. თავის მხრივ, შს მინისტრმა **გიორგი გახარიამ** აღნიშნა, რომ რაც ხდება, ეს არის მცდელობა, ქვეყანა პოლიტიკური მოტივით კატასტროფისკენ მივიყვანოთ. **კახა კალაძემ** კი განმარტა: პირდაპირ ეთერში ვაკვირდებით ძალისმიერი შტურმის მცდელობას საქართველოს პარლამენტშიო. **ნიკა მელია** აცხადებს, რომ უკანდასახევი გზა ჩახერგილია და გამარჯვებამდე ფეხის მოცვლა არ შეიძლება. მელია მოითხოვს, პარლამენტის თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვოს. ამ დაძაბულობას გამოეხმაურა პრემიერი. **მამუკა ბახტაძემ** აღნიშნა, რომ ხალხის პროტესტი სამართლიანია, მაგრამ ძალადობაზე აგებული ძალა ცდილობს, ხალხის პროტესტი პროვოკაციისთვის გამოიყენოს.

ნ. მელიას მოწოდებას პარლამენტში „მშვიდობიანად“ შესვლის შესახებ, მინისტთა შტურმი მოჰყვა.

საბოლოოდ პოლიციამ მომიტინგეთა დასაშლელად რუსთაველზე ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა, რასაც გამზირის დაცარიელება მოჰყვა. თუმცა მოგვიანებით აქციის მონაწილეები კვლავაც გამოჩნდნენ პარლამენტის შენობასთან.

მაინც, რისთვის ჩამოვიდა სერგეი გავრილოვი?! — ამის შესახებ პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** გვესაუბრება.

გავრილოვს მოსკოვში ყურებს დააგლეჯენ, რადგან თავისი იდიოტური საქციელით კარგად ჩაფიქრებული თამაში გაუფუჭა რუსებს!

— ოკუპანტის მასტერკლასი ეს არ იყო, ეს იყო ძალიან უხეში, თვითონ რუსები რომ იტყვიან „ტაპორნაია რაბოტა“, ანუ ნაჯახით სამუშაო. არავითარი კრეატიული, არავითარი რბილი ძალის გამოვლინება, ეს იყო კლასიკურ რუსულ ისტორიულ უხეშ შედეგზე გაუთვლელი ქმედება. თვითონ გავრილოვს, ამ რუს კომუნისტს, მე მგონი, მოსკოვში დუმაში ყურებს დააგლეჯენ, რადგან მან თავისი იდიოტური საქციელით კარგად ჩაფიქრებული თამაში გაუფუჭა რუსებს. ცოტა ძნელია, ქართველმა კაცმა თქვას, რომ გაცვდა მართლმადიდებლობა, მაგრამ როდესაც აგრესორ რუსეთს სხვა არაფერი დარჩენია საქართველოსთან ურთიერთობის დადებით მომენტში გადასაყვანად, გარდა რელიგიისა და ერთმორწმუნეობისა და ერთმორწმუნეობის დროშით ხდება საქართველოს ტერიტორიის ჩამოჭრა, მცოცავი აგრესია, ერთმორწმუნოებრივი კონსენსუსი უკვე ფერმკრთალდება თვით მორწმუნეთა შორისაც. რუსებმა არცთუ გავლენიანი ძალა აირჩიეს საქართველოში პარტნიორად. ძალიან ძნელია დაიჯერო, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც რუსეთმა თავიანთი სახლი, კარი, მშობლიური კუთხე წაართვა, მოსწონდეთ გავრილოვის მასპინძლობა. ასეთია ადა მარშანია. ძალიან ძნელია, ის კომუნისტების მომხრე იყოს, თუმცა შეიძლება აქ იყოს ის მომენტი, რომ თვითონ ადა მარშანია ტრადიციული კომუნისტური ოჯახიდანაა, თანაც, არცთუ რიგითი კომუნისტური პარტიის წევრი იყო მამამისი, ის მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკი გახლდათ აფხაზეთში.

— ეს გავრილოვის თვითმოქმედება იყო, თუ „ოცნების ლუსტრაცია“, როგორც ოპოზიცია აფასებს ამ ფაქტს?

— გავრილოვს ყურებს აუწევენ მოსკოვში არა იმიტომ, როგორ გაბედე და როგორ ჩაჯექი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელშიო, არამედ იმის გამო, ასეთი სისულელე რატომ გააკეთე და რატომ გაგვიფუჭე კარგად ჩაფიქრებული საქმე რუსებსო. თორემ, ცხადია, ზღაპარია, რომ რუსეთის დუმა გავრილოვს დაკითხავს, ქართველებს შეურაცხყოფა რატომ მიაყენეო.

— საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არ უნდა შემოგვეშვა ქართველთმოძულე გავრილოვი, რომელიც აფხაზეთში ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა. ამის მიუხედავად, ცალკეული ჩვენი სასულიერო პირები თავს იმშვიდებენ, გავრილოვმა დაგვარწმუნა, იარაღი არ ამიღია ქართველების წინააღმდეგო.

— ზოგიერთი მღვდელი ნუ ცუღლუტობს, მეც ვუსმინე გავრილოვს, მართლმადიდებლებს ვეხმარებოდიო. თუმცა აფხაზეთის ომის დროს აფხაზების მხარეს როდის იყვნენ მართლმადიდებლები? აფხაზების მხარეს იბრძოდნენ მუსლიმანები ჩრდილო კავკასიიდან. სამაგიეროდ, მართლმადიდებლები იყვნენ ქართველი ბავშვები, ჭუბერის უღელტეხილზე რომ ყინვით დაიხოცნენ. სად იყო მაშინ გავრილოვი? ქართულ ოჯახებს რომ ხოცავდნენ ჩრდილოეთ კავკასიელები, ტერორი და ქართველთა გენოციდი რომ იყო გამოცხადებული, რაც საერთაშორისო საზოგადოებამაც აღიარა, მაშინ სად იყო გავრილოვი? რომელი ქართველი დაიცვა გავრილოვმა გენოციდისგან?

— სამაგიეროდ, გავრილოვი ჩვენთვის კომპლიმენტებს არ იშურებს, ჩვენ საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად ვთვლითო. თუ თვლის, მაშინ გამოდის, აგვისტოს ომში ბომბები დაუშინა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთის ომზე?

— რუსი მფრინავები რომ ბომბავდნენ საქართველოს, სად იყო მაშინ გავრილოვი? ლევან თედიაშვილის შვილი რომ დაიღუპა, თვითმფრინავი რომ ჩამოაგდეს რუსებმა, მაშინ სად იყო იგი? გავრილოვი დემაგოგი, აფერისტია, ის პირდაპირ ტყუის. წარსულში ბევრმა გერმანელმა თავი გადაირჩინა იმით, რომ სია წარადგინა, ჰოლოკოსტის დროს ებრაელები გადავარჩინეო. ეს სინამდვილე იყო და ამაზე ფილმებიცაა გადაღებული. გავრილოვმაც თქვას ერთი ფაქტი მაინც, რომ მან რომელიმე მართლმადიდებელი ოჯახი დაიცვა ჩრდილოეთ კავკასიელი მუსლიმანებისგან. რასაკვირველია, გავრილოვი არ უნდა შემოგვეშვა, მაგრამ ერთი რამ მიკვირს, „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი ფეთქებადი თემა რატომ ანდო ისეთ სპეციალისტს, როგორიც ქუცნაშვილია? რა შუაში იყო საერთოდ ქუცნაშვილი? კი, ის იურისტად ითვლება, მაგრამ მის ბოლო სამი დღის განცხადებებს რომ ვუსმენდი, მას წარმოდგენა არ ჰქონია საერთაშორისო სამართლის ნორმებზე, საერთაშორისო პრაქტიკაზე.

— მისი შემოშვება ნიშნავს იმას, რომ „ოცნება“ ცდილობს, დაათბოს ურთიერთობა რუსეთთან?

— სხვათა შორის, წუხელ ერთი საათი ვუსმენდი გუბაზ სანიკიძეს. ის ჩემი არც ახლო ნათესავია და არც ახლო მეგობარი, მაგრამ გავოცდი იმით, რომ ზუსტად გუბაზი ლაპარაკობდა იმ საფრთხეზე, რომელიც დღეს დაგვხვდა წინ. გუბაზი ამბობდა, ეს გველის ჩვენ მომავალშიო, მაგრამ რა იცოდა, რომ მისი წინასწარმეტყველება სულ რაღაც 24 საათში ახდებოდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს არ იყო მოულოდნელი, ეს არ იყო ვიღაცის შეცდომა, ან სპიკერატის შეცდომა, უფრო ღრმა ფესვები აქვს დღევანდელ სკანდალს. თვით ის ფაქტი, რომ გავრილოვმა გაბედა, სხდომის წაყვანა ეთავა, ეს მინიმუმ გუშინვე იცოდა მართლმადიდებლური ღონისძიების ყველა მონაწილემ. დღეს „ოცნების“ ხელმძღვანელობას და ბიძინა ივანიშვილს აქვს ძალიან ლეგიტიმური და ხალხისთვის გასაგები საბაბი, ჩაატაროს წმენდა თავის რიგებში. როდესაც ივანიშვილმა თქვა, ეს პროტოკოლის ბრალი იყოო, ჩვენც უნდა გავერკვეთ, ვინ იყო ამაში დამნაშავე. ამას შედეგი უნდა მოჰყვეს.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ანაკლიის პროექტი: ვინ ცდილობს საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას - რუსეთი თუ ამერიკა?

რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ საქართველომ უფრო აქტიურად უნდა განახორციელოს ანაკლიის პორტის პროექტი. შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა პომპეოს განცხადება მიუღებლად შეაფასა. ქართველი საზოგადოების ნაწილში გაჩნდა განცდა, რომ ორივე – რუსული და ამერიკული მხარეები ერთმანეთს საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევაში ადანაშაულებენ.

მაინც როგორ განვასხვავოთ, სად არის ჩარევა, სად – მხარდაჭერა? – ამ კითხვას ამომწურავი პასუხი სპეცპროექტ "Пограничная ZONA"-სთან ინტერვიუში საქართველოში ვიზიტად მყოფმა ბაიდენის ცენტრის დირექტორმა მაიკლ კარპენტერმა გასცა:

„ამერიკის საგარეო პოლიტიკური ელიტები ამ პროექტს ნამდვილად უთმობენ დიდ ყურადღებას, რადგან ორმა ამერიკულმა კომპანიამ ამ პროექტში საკმაოდ დიდი თანხები ჩადო. პომპეო თავისი განცხადებით ცდილობს, დაიცვას საქართველოში ამერიკული სტრატეგიული ინვესტიცია, რომელიც სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაზეა მიმართული. მარტივად რომ ვთქვათ, მისი განცხადება, რომელსაც მეც სრულად ვიზიარებ, აქცენტირებულია თანხებზე – იმაზე, რომ ეს არის დასავლეთის სტრატეგიული ინვესტიცია საქართველოში და ხელისუფლებამ აქტიურად უნდა განახორციელოს ეს მდგრადი გრძელვადიანი პროექტი, რომელიც სამომავლოდ ქვეყანაში ბევრად მეტ დასავლურ ინვესტიციას მოიზიდავს, ან პირიქით – პროექტის არგანხორციელება მძლავრი ნეგატიური სიგნალი იქნება დასავლელი ინვესტორებისთვის, საქართველო კი, როგორც ცნობილია, დამოკიდებულია მსგავს გრძელვადიან ინვესტიციებზე, განსაკუთრებით – პერსპექტივის თვალსაზრისით. რაც შეეხება რუსეთს, კარასინს, იგი ამბობს, რომ მისთვის ამერიკული ინვესტიციები საქართველოში მიუღებელია... რატომაა მიუღებელია? ან რატომაა საერთოდ მისი გადასაწყვეტი, რა არის მისაღები, რა – მიუღებელი საქართველოში ინვესტირების თვალსაზრისით?! ამერიკელები რატომ არ ვამბობთ, რომ Интер РАО-ს ინვესტიციები საქართველოში მიუღებელია?! რა თქმა უნდა, ამერიკა თავის თავს მსგავსი რამის თქმის უფლებას არ მისცემს! ამიტომაც კარასინისა და ზოგადად მსგავსი განცხადებები აღმაშფოთებლად მიმაჩნია. რომ შევაჯამოთ, მე ძალიან კარგად მესმის, რატომ წამოსწია პომპეომ ეს თემა და ნამდვილად არ მესმის, რა შუაშია აქ კარასინი და რუსეთი".

რაც შეეხება თავად პროექტს, კარპენტერმა საქართველოსთვის მის სტრატეგიულ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ, თუ ქვეყნის ხელისუფლება მის მნიშვნელობას მართლაც სათანადოდ აცნობიერებს, პროექტი ბოლომდე უნდა მიიყვანოს:

„ეს პროექტი მართლაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ნახეთ, როგორ მოქმედებს ჩინეთი (ჩინეთში ვგულისხმობ პროექტს „ერთი სარტყელი – ერთი გზა"), გადახედეთ ვაჭრობის სტრუქტურას... ანაკლიის პორტი – ეს არის პოტენციურად საკვანძო დერეფანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, იგი წარმოადგენდა ექს-პრემიერ კვირიკაშვილის მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს. და მართლაც, ეს რეალურად უმნიშვნელოვანესი პროექტია და ძალიან საჭირო საქართველოსთვის. თუმცა არსებობს რიგი კითხვები, კერძოდ, შეძლებს თუ არა საქართველოს მთავრობა გარკვეული გამტარუნარიანობის, ვაჭრობის გარკვეული სახეობების გარანტირებას. და ეს კითხვები ლეგიტიმურია. მე ვურჩევდი მთავრობას, თუ მართლაც აცნობიერებს ამ პროექტის მნიშვნელობას, გააგრძელოს მისი განხორციელება. ეს სწორედ ისაა, რასაც აკეთებს ჩინეთი: როდესაც მთავრობა აცნობიერებს პროექტის სტრატეგიულ მნიშვნელობას, იგი დგამს ნაბიჯს და იღებს ინვესტიციების გარანტირების პასუხისმგებლობას. იმავეს ვხედავთ იაპონიისა და აშშ-ის, სხვა ქვეყნების შემთხვევაში".

სამშენებლო კომპანიები სამსახურიდან თანამშრომლებს ათავისუფლებენ

2019 წლის პირველ კვარტალში მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4 175 კაცით, ხოლო 2018 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით – 12 745 ადამიანით შემცირდა. ეს ნიშნავს, რომ იანვრიდან ამოქმედებულმა საბანკო რეგულაციებმა მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი უკვე მოიტანა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის პირველ კვარტალში დარგში დასაქმებული იყო 59 662 ადამიანი. მაშინ როცა 2018 წლის შესაბამის კვარტალში სექტორში 63 837; ხოლო მე-4 კვარტალში – 72 407 პირი იყო დასაქმებული.

სამშენებლო სფეროს წარმომადგენლები უკვე რამდენიმე თვეა საუბრობენ, რომ დარგში დასაქმებულმა ათასობით ადამიანმა შესაძლოა, სამუშაო დაკარგოს. ეს კი მათი შეფასებით, მიმდინარე წლის იანვრიდან საფინანსო სექტორში ამოქმედებულ რეგულაციებს უკავშირდება.

როგორც მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე **ირაკლი როსტომაშვილი** „ბიპიენთან" აცხადებდა, რეგულაციების შედეგად დეველოპერულ კომპანიებს გაყიდვები დაახლოებით, 30-35%-ით შეუმცირდათ. შედეგად კი მისი პროგნოზით, საერთო დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 10%-ით შემცირდებოდა, ხოლო დაახლოებით 20%-ს შემოსავალი გაუნახევრდებოდა.

სამშენებლო სექტორის კრიზისი გამოწვეულია იმ საბანკო რეგულაციებით, რომელიც იანვრიდან ამოქმედდა და პოტენციურ კლიენტებს ფინანსურ რესურსზე წვდომა შეუზღუდა. ისინი შენაძენის გაკეთებას ვეღარ ახერხებენ და ესაა დეველოპერული ბიზნესის დამაბრკოლებელი ფაქტორიც.

„აიფიემ მარკეტ ინტელიჯენს კაუკასუსის" ცნობით, საბანკო რეგულაციები ხელისშემშლელ მიზეზად ბინის მყიდველთა 38%-მა დაასახელა. ახლახან ორგანიზაციამ სპეციალური კვლევა ჩაატარა და თბილისის მასშტაბით, 400 რესპონდენტი გამოკითხა. კვლევის მონაწილეები არიან ადამიანები, რომელთაც ბოლო 2 წლის განმავლობაში აქვთ ბინა შეძენილი ან უახლოეს 1 წელში აპირებენ ბინის შეძენას.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმეტესობას – 69%-ს, სესხების გაცემისთვის არსებული საბანკო რეგულაციების შესახებ სმენია, 31%-ს კი ამ საკითხზე ინფორმაცია არა აქვს. იმ პირთა უმეტესობას – 70%-ს, ვისაც საბანკო რეგულაციების შესახებ სმენია, ბინა ბოლო 2 წლის განმავლობაში აქვს შეძენილი, დაახლოებით იგივე რაოდენობა – 71% კი (კვლავ) გეგმავს ბინის ყიდვას.

„რესპონდენტებმა, რომლებსაც ახალი საბანკო რეგულაციების შესახებ სმენიათ, დეტალურად დაასახელეს საბანკო რეგულაციების ამოქმედებისგან გამოწვეული გართულებები. რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (34%) ამბობს, რომ ახალი რეგულაციების ამოქმედებით, მათთვის არაფერი გართულებულა. გამოკითხულთა მხრიდან მთავარ დაბრკოლებად სესხების გართულებული გაცემა დასახელდა (38%). რესპონდენტების მიერ დასახელებულ სხვა დაბრკოლებებს შორისაა: დოლარის კურსის აწევის გამო გაძვირებული სესხები (8%), სესხის ლიმიტის შემცირება (4%), მაღალი შემოსავლის მოთხოვნა (4%) და სხვა", – აცხადებენ კვლევით ორგანიზაციაში.

აღსანიშნავია, რომ საბანკო რეგულაციების ამოქმედებამ გარკვეული პრობლემები შეუქმნა რამდენიმე ბიზნესს (ტექნიკის მაღაზიები, სამშენებლო სექტორი) და ასევე იმ მოქალაქეებს, რომელთაც შემოსავალი ოფიციალურად არ უფიქსირდებათ.

ბეჭა დანელია

გუშინ „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი" გაიხსნა

საზეიმოდ გახსნილი „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი" ბიზნესტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პლატფორმა იქნება

როგორც „Marriott"-ის საერთაშორისო ქსელის წევრი „Sheraton Hotels & Resorts"-ის წარმომადგენლები აცხადებენ, განახლებული სასტუმრო ამერიდან უფრო მაღალი, გრანდ კატეგორიის სასტუმროებს შორის დაიკავებს ადგილს.

ღონისძიებას დაესწრნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი, „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასის" გენერალური დირექტორი ფრედ სმიტსი, Marriott Internationa"-ის აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტი პანკაჯ ბირლა, Marriott International-ის ბრენდ ლიდერი ინდი ადენაუ.

განახლებული სასტუმრო, ტურისტების გარდა, ახლა უკვე საერთაშორისო დონის ბიზნესშეხვედრებისა და კონფერენციების მასპინძლობისთვისაა სრულ მზადყოფნაში.

„დიდი სიამაყით მივესალმებით მასშტაბური ტრანსფორმაციის შემდეგ მსოფლიო ლეგენდის საქართველოში დაბრუნებას. „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი" კიდევ უფრო მაღალი სტანდარტით იწყებს ახალ სიცოცხლეს. ჩვენ, ადგილობრივ გუნდთან ერთად, შევქმენით ინტერიერი, რომელიც დროს უძლებს. ეს სასტუმრო ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რას ვაკეთებთ შერატონის ბრენდის წინსვლისა და განვითარებისთვის", – განაცხადა პანკაჯ ბირლამ.

ბესარიონ ქებურია ღირსია ჯეროვანი პატივგებისა

ღია წერილი ქალაქ ჩხოროწყუს მერს დათო გოგუას და საკრებულოს თავმჯდომარეს ბესო ესებუას

ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ თქვენ შემომთავაზეთ პირველი ქართველი ავიატორ-კონსტრუქტორის და საქართველოში სამოქალაქო ავიაციის ერთ-ერთი ფუძემდებლის ბესარიონ ქებურიას სახლ-მუზეუმის დაარსება. თქვენ მოითხოვეთ შენობის ჩუქება შთამომავლობისთვის იქ ცხოვრების უფლების გარეშე, რაზედაც იმთავითვე უარი განვაცხადე.

შემდგომ პერიოდში გრძელდებოდა ორივე მხარისთვის მისაღები პირობების შემუშავება.

2018 წლის დეკემბერში ჩვენ შევჩერდით ხელშეკრულების იმ ვარიანტზე (რომელიც შეთანხმებული იყო თქვენს იურისტთან), რომლის მიხედვითაც მე გჩუქნიდით სახლს იმ პირობით, რომ ქებურიას შთამომავლობას რჩებოდა იქ ცხოვრების უფლება და ეზო იქნებოდა საერთო სარგებლობაში. მუნიციპალიტეტი იღებდა ვალდებულებას შენობისა და ეზოს სარემონტო და კეთილმოწყობის ხარჯებისა და ექსპოზიციის მოსაწყობად (ლუი ბლერიოს, ბესარიონ ქებურიას, ქართველიშვილისა და ბერიევის აეროპლანების არსებული ნახაზების მიხედვით მაკეტების შექმნა; საარქივო მასალების მოპოვება; ციფრულ ფორმატში გადაყვანა; ვიტრინებისა და სტენდების დამზადება, ბესარიონ ქებურიას პირადი ნივთების, არქივის და სხვა არტეფაქტების საექსპოზიციოდ მომზადება და თბილისიდან ჩხოროწყუში ტრანსპორტირება; ექსპოზიციის მხატვრული გაფორმება; ეკრანისა და პროექტორის შეძენა-დამონტაჟება, ინტერნეტის გაყვანა, ქართული და უცხოენოვანი ბუკლეტებისა და გზამკვლევების მომზადება და დაბეჭდვა და ა.შ.) 40 000 ლარის გაღებაზე.

სამწუხაროდ, ამ შეთანხმებას მოჰყვა თქვენი მხრიდან ორთვიანი დუმილი, რის შემდეგაც, 2019 წლის იანვარში საკრებულოს თავმჯდომარემ ბესო ესებუამ სატელეფონო საუბარში მოკლედ მომიჭრა, რომ საკრებულოს ყველა წევრი წინააღმდეგია ბესარიონ ქებურიას სახლ-მუზეუმის დაარსებისა, რაც ძნელად დასაჯერებელია, რადგან ჩემთვის კარგად ცნობილია ჩხოროწყუს მოსახლეობის დამოკიდებულება ქვეყნის სახელოვანი შვილის მიმართ.

მე მოვითხოვე საკრებულოს უარის დასაბუთება, რასაც მოჰყვა რამდენიმეთვიანი დუმილი.



მე მივმართე მუნიციპალიტეტს ელექტრონული ფოსტით, რათა შემეტყო უარის მიზეზი, რის პასუხადაც გამომიგზავნეთ ხელშეკრულება, რომლითაც კვლავ გამოირიცხა ბესარიონ ქებურიას შთამომავლობის ცხოვრება სახლ-მუზეუმში.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს დღემდე არ გაქვთ დაზუსტებული, თუ რა თანხა დასჭირდება შენობის გარემონტებას და ეზოს კეთილმოწყობას, რათა შეიქმნას საფუძველი სამშენებლო ორგანიზაციებისთვის ტენდერის გამოცხადებისა. არც ის არის ცნობილი, თუ რა თანხას გაიღებს მუნიციპალიტეტი ექსპოზიციის მოსაწყობად. მხოლოდ ამ ფაქტორების დაზუსტების შემდეგ იქნება შესაძლებელი ხელშეკრულების გაფორმება.

თქვენს წინადადებას მე განვიხილავ, როგორც მცდელობას ილუზიის შექმნისა, თითქოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მონდომებულია, რათა უკვდავყოს ბესარიონ ქებურიას სახელი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და რის დასტურად ისიც კმარა, რომ უკვე ოთხი წელია, რაც ჭიანურდება სახლ-მუზეუმისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფის საკითხი.

ჩემ მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რეესტრის სპეციალისტის დახმარებითდა მასში თუ დაამატებდით დაფინანსების კონკრეტულ ციფრებს, თორემ თუ რაიმე იყო შესაკვეცი, ეს თქვენ და თქვენმა იურისტმა უკვე გააკეთეთ 2018 წლის დეკემბრის თათბირზე.

ამრიგად, თუ თქვენ ნამდვილად გსურთ ბესარიონ ქებურიას ღვაწლის დაფასება, შეადგინეთ ხარჯთაღრიცხვა, დააზუსტეთ საჭირო დაფინანსების ოდენობა და განიხილეთ შესაძლებლობა მხოლოდ პირველი სართულის ნაწილის (სასტუმრო ოთახი, საძინებელი და კაბინეტი) ჩუქებისა (სასადილოს და სამზარეულოს გარდა) და ეზოს საერთო სარგებლობაში დატოვებისა. ექსპოზიციის შეგროვებას, მოწყობას და მხატვრულ გაფორმებას (დგარების, ვიტრინების, პირველი აეროპლანების მაკეტების შეკეთებითა და ექსპონატების ტრანსპორტირებით) სჭირდება 40 ათასი ლარი. ამრიგად, მუნიციპალიტეტი მიიღებს საკუთრებაში მუზეუმისთვის საჭირო ფართს, ქებურიას მემკვიდრეობას კი დარჩება საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი.

გთხოვთ ამჯერად მაინც გამცეთ კონკრეტული პასუხი.

გიორგი ქებურია,
ავიაციის ისტორიის მკვლევარი,
მწერალთა კავშირის წევრი.

ჩოღის ეპიდემია კუჩოჩტი ჯოჩჯოეი საეუზეუეო ქალაქი?

მთის კურორტმა, რომელმაც 2018 წელს დაახლოებით 228 000 ტურისტი მიიღო ზაფხულის სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო. ბორჯომის მუნიციპალიტეტში ვარაუდობენ, რომ 2019 წლის ზაფხულში შარშანდელი რაოდენობრივი მონაცემი გაუმჯობესდება და ბორჯომი წელს განახლებული ინფრასტრუქტურით, გაცილებით მეტ ტურისტს უმასპინძლებს.

როგორც აღმოჩნდა, პრობლემა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ყოველი სეზონის მოახლოებისას აქტიურდებოდა, წელსაც მოუგვარებელია. საუბარია, გასართობი ობიექტების სიმცირეზე, რაც როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტების უკმაყოფილებას იწვევს.

საჯახო სასტუმრო „დალკოს“ ხელმძღვანელი მაყვალა გიორგაძე აცხადებს, რომ ზაფხულის საკურორტო სეზონი უკვე დაიწყო. დამსვენებლები ამ დროისთვის არ არიან, თუმცა, გასული წლების სტატისტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დამსვენებლების უმეტესი ნაწილი წელსაც უცხოელები იქნებიან. შარშან ტურისტები ძირითადად იყვნენ რუსეთიდან, უკრაინიდან, გერმანიიდან, ასევე არაბული ქვეყნებიდანაც. გიორგაძე აცხადებს, რომ წელს ბორჯომში იმაზე კარგი სიტუაციაა ვიდრე გასულ წლებში. კერძოდ, მოგვარებულია სასმელი წყლის პრობლემა, რეაბილიტირდა გზებიც.

„ტურისტები, განსაკუთრებით კი უცხოელები მაღალ ხარისხს ითხოვენ და ფულს კი მინიმალურს იხდიან. Booking.com**-ის ვებ გვერდზე შემდეგ არასახარბიელო კომენტარებს წერენ, რაც ჩვენზე საკმაოდ ცუდად ისახება. იმიჯისთვის ეს ცუდია. იმ საიტზე კი ჩვენ პასუხის გაცემის საშუალება არ გვაქვს,“** — აღნიშნავს მაყვალა გიორგაძე.

მისი თქმით, ბორჯომში გასართობი ინფრასტრუქტურა ძირითადად საბავშვო ატრაქციონებით, კინოთეატრით და კაფეებით შემოიფარგლება. რაც შეეხება კლუბებს და სხვა გასართობ ცენტრებს, მისი ინფორმაციით, ამ კუთხით ბორჯომში სერიოზული დეფიციტია.

რა მდგომარეობაა წელს ბორჯომში, მიდის თუ არა გასართობი ინფრასტრუქტურის შექმნა და როგორ ხვდება რეგიონი ზაფხულის საკურორტო სეზონს?

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბუბა ბერიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ სრულად მოგვარებულია სასმელი წყლის პრობლემა, მოწყობილია საგზაო ინფრასტრუქტურა. მათ შორის, ტროტუარებიც. დარჩენილია საკმაოდ მცირე სამუშაოები, რომელიც მალე დასრულდება.

როგორც ბერიძე განმარტავს, ბორჯომი ტურისტების მისაღებად მზადაა. რაც შეეხება გასართობ ობიექტებს, ქალაქის მასშტაბით იწყება რამდენიმე სკვერის და სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, თუმცა, გასართობი ობიექტების მოწყობა კერძო სექტორის პრეროგატივაა.

„ჩვენგან კერძო ბიზნესს საკმარისი ხელშეწყობა აქვს. მუნიციპალიტეტი მზად არის, ქალაქის მასშტაბით რაც შეიძლება მეტი გასართობი ატრაქცია შეიქმნას,“-აცხადებს ბერიძე.

მისი განმარტებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა 2018 წლის შემოდგომაზე სპეციალური ტექნიკა შეისყიდა, რომელიც ზაფხულის საკურორტო სეზონზე აქტიურად იმუშაევებს.

რაც შეეხება დაანონსებულ პროექტს, რომელიც ქალაქში 5 მუზეუმის მოწყობას გულისხმობს, აქტიურად განიხილება. ბერიძის განმარტებით, მომავალი წლისთვის ბორჯომს უკვე გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი ექნება. მისი ინფორმაციით, კოსტავას სახელობის ბაღში, ე.წ. კავალერიის შენობის რეაბილიტაციას მუნიციპალური ფონდი აფინანსებს და ამ დროისთვის მშენებელი კომპანიის შესარჩევად ტენდერია გამოცხადებული.

როგორც ცნობილია, გასულ წელს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დააანონსა, რომ ბორჯომი სამუზეუმო ქალაქი უნდა გახდეს.

სამინისტროს ცნობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პროექტი „ბორჯომი — სამუზეუმო ქალაქი“ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული ხუთი უნიკალური ისტორიული შენობის რეაბილიტაციას, ერთი საიტი-ატრაქციის შექმნასა და ერთიან სამუზეუმო კონცეფციაში მოქცევას გულისხმობს.

პროექტის მიხედვით ბორჯომში ხუთი მუზეუმი იმუშავებს: ახალი კავალერიის კორპუსში — გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი; რომანოვების ყოფილ კანცელარიაში — ბორჯომის მხარის ისტორიის მუზეუმი; მოლდენჰაუერის ჰიდროელექტროსადგურის შენობაში — ინდუსტრიული მემკვიდრეობის მუზეუმი; ბორჯომის მინერალური წყლის ქარხანაში — ბორჯომის მინერალური წყლის ისტორიის მუზეუმი; ლიკანის სასახლეში — სასახლე-მუზეუმი და მრავალფუნქციური კომპლექსი.

ასევე, მოეწყობა საიტი-ატრაქცია. ღია ცის ქვეშ “პირველი რკინიგზა“, რომელიც პირველი ორთქმავლისა და ცემი-ბაკურიანის ეიფელის სარკინიგზო ხიდის გამოყენებით იქნება შექმნილი.

ბორჯომის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი ოთარ ჩუხრუკიძე აცხადებს, რომ წელს ბორჯომი ტურისტებს მომზადებული ხვდება. მისი განმარტებით, საკმაოდ მნიშვნელოვანია და არსებობს საჭიროება იმისი, რომ რეგიონს გადამზადებული გიდები ჰყავდეს.

კითხვაზე, თუ დგას გიდების გადამზადების აუცილებლობა, მაშინ რატომ არ იდგმება შესაბამისი ნაბიჯები, ჩუხრუკიძე განმარტავს, რომ კარგი იქნება, თუ იარსებებს სპეციალური პროგრამა,რომლის ფარგლებშიც გიდები გადამზადდებიან. ეს შეიძლება გაკეთდეს მუნიციპალურ, არასამთავრობო თუ კერძო სექტორის დონეზე.

ჩუხრუკიძის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში მას ეს პრობლემა დაფიქსირებული აქვს, თუმცა, ამას ყველაფერს ორგანიზება, თანხები და კომპლექსური მიდგომა სჭირდება.

სოფო ძსოვრელი



რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

150

ნახევრადინტელიგენტების დიალოგი მეოთხედინტელიგენტების მონოლოგს უდრის.

151

ვენაში საწოლი მაჩვენეს, რომელშიც გრილპარცერს (ფრანგ. *გრილპარცერი (1791-1872) – ავსტრიელი დრამატურგი და პოეტი.*)სძინებია. დიდი ამბავი! მე ხშირად ვნახულობ პანი ნ-ის საწოლს, რომელშიც ეძინა პოეტ ა-ს, კომპოზიტორ ბ-ს, მხატვარ ვ-ს, მსახიობ გ-ს. ჯერჯერობით მხოლოდ ამათ...

152

ერთნი სიმართლეს იმიტომ მალავენ სხვებისგან, რომ ეშინიათ ამ სიმართლისა, მეორენი კი იმიტომ უმალავენ პირველთ, რომ გარკვეულ დრომდე არ სურთ გამჟღავნება და ეს სიმართლე კი ერთი და იგივეა.

153

პაციჯამია თუ დანა-ჩანგალს ხმარობს, ვითომ ეს პროგრესია?

154

აჰა, გამომართვი სიტკბოში ამოვლებული მწარე აბი. ეს აბი თავისთავად უვნებელია, საწამლავი სიტკბოშია.

155

„მეფე ტიტველია“, მაგრამ მდიდრულ სამოსელქვეშ.

156

ხან ეშმაკი მაცდენს ხოლმე და ღმერთს მაწამებინებს.

157

შეიძლება, რომ უკუღმა არღნის კორბა დაატრიალო, მაგრამ არა მელოდია.

158

სადისტები და მაზოხისტები ლოკალურ კავშირებად, ტრესტებად და სახელმწიფოებად უნდა გაერთიანდნენ.

159

წითელ გალიშისპირებს ჩვენ დროშებად ვიყენებდით, ისინი კი დროშებს – გალიშისპირებად.

160

დრო თავისას შვრება. შენ რას შვრები, ადამიანო?

161

აზროვნებისთვის ტვინია საჭირო, ადამიანზე რომ უკვე აღარაფერი ვთქვათ.

162

სიკვდილს მუშტარი არ უწყდება.

163

რადგან ისლამის მიმართ ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესი სულ უფრო იზრდება, შეგახსენებთ, რომ მუსულმანური რელიგია მკაცრად კრძალავს სპირტიან სასმელებს.

164

კაენმა რომ აბელი მოკლა და ამ უკანასკნელს ხმა არ გაუღია, ეს პირველი პრეცენდენტი იყო დასკვნისთვის: „მკვდარი მსხვერპლი პროტესტს არ აცხადებს“.

165

კუბოს სახურავის ის მხარე, რომელიც მომხმარებლისკენ არის მოქცეული, შეუღებავია.

166

იმ ქალზე მეუბნები? სამი დიოპტრიის გარდა, თვით ოკულისტიც კი ვერაფერს ამოიკითხავდა იმის თვალებში.

167

აი, თვითჩასახვის საყურადღებო კაზუსი: მავანი მწერლის წიგნებში ეპითეტი წარმოშობს საგნის ხარისხს.

168

დრამატურგი: სულის მუცელმოგვი.

169

ყოველთვის უნდობლად იღიმებოდით, როცა კი სიტყვას მოუტანია და მითქვამს, ხანდახან ჩემს თავს ჩემივე ანეკდოტებს ვუყვები და იმით ვერთობი-მეთქი.

170

სამოთხიდან გამოაძევეს მხოლოდ ადამი და ევა, როგორღა გამოაღწიეს ლომებმა, არწივებმა, მაიმუნებმა, რწყილებმა და სხვებმა. აი, თუნდაც თვით ვაშლზე რაღას იტყვით?!

171

შენს მრწამსს ღობეზე ნუ მიაწერ.

172

უიდეობა ხოცავს სხვებს.

173

ყოველთვის მოიძებნება კიდევ უფრო გასარი სიჩლუნგე.

174

ვითომ მსხვერპლისთვის შეურაცხმყოფელია, თუ კაციჭამია პირში არ გაიჩერებს და ზიზღით გადმოაფურთხებს?

175

„გარეული ღორი“ გაცილებით კეთილშობილურად ჟღერს, ვიდრე უბრალოდ „ღორი“.

176

1957 წელი. პირველად ტყვეობაში დაიბადა გორილა. ეს უდიდესი მეცნიერული მიღწევაა. ახლა უკვე შეგვიძლია გამოთვლა, თუ რამდენი მილიონი წლით ადრე გაჩნდა ადამიანი.

177

ყველაზე მეტად სიმართლეს მაშინ უჭირს, როცა ყველაფერი შეიძლება, რომ სიმართლედ გამოდგეს.

178

მიმართვით ყოველთვის სხვის ღმერთებს მიმართეთ, რიგგარეშე მოგისმენენ.

179

სიტყვაც შეიძლება რომ ალიკაპი იყოს.

180

არღანი ყოველგვარ მელოდიას დაფქვავს.

181

„ეჰ, რა კარგი იქნებოდა, კიდევ მეცხოვრა ბერიკაცს ცოცხლებში“, – წამოიძახა მკვდრებში მოხვედრილმა ახალგედამ.

182

აინშტაინის დროც ქალაქის საათებზე იყო დამოკიდებული.

183

პირველობის ყოველი პალმა როდი ისხამს ქოქოსს.

184

რომელი მწერალია, რომ თავისი ნებით თქვას უარი გენიოსობაზე? აი, მე კი საკმაოდ სწრაფად შევურიგდი ამ ამბავს. მივხვდი, რომ არცთუ მოსაწყენად ვწერ.

185

ყოველი საგველი თანდათან თვითონ აღიგვება პირისაგან მიწისა.

186

ძირი არა აქვს, თუ ღრმად არ გიშვებენ!

187

ზოგიერთი დიდის ხალისით დაიხურავდა ფრიგიულ ჩაჩს, უჩინმაჩინის ქუდი რომ ყოფილიყო.

188

ხან მეზობლის ხეები იმხელები იზრდებიან, რომ რაც ზედ ასხიათ, სულ თქვენ გეყრებათ თავზე.

189

თავგზააგნეულს თავი ხშირად სტკივდება.

190

მთებიც ყოფენ უფსკრულებს.

191

„განა ღირს კი ასე ხანმოკლედ დედაკაცად ქცევა?“ – ვფიქრობ ხოლმე, როცა გავშვები თოვლის ქალს ძერწავენ.

192

შეიძლება, რომ კაცი მტრის პოზიციაზე გადახვიდე შენი პოზიციის დაუთმობლად.

193

„მკვდარი სული“ ხან ცოცხალზე ძვირი გვიჯდება.

194

შეიძლება, რომ კაცმა ღვთის გამოუცვლელად გამოიცვალო რწმენა და პირიქით.

195

ძირი ძირადვე რჩება მაშინაც კი, როცა ყველაფერი ყირამალაა.

196

კანონიზაცია ჩემს თვალში კლავს ადამიანს, რომლის წმინდანად შერაცხვაც კი შემეძლო.

197

ჩრდილი ნათელ მიზნებსაც ახლავს.

198

სიკვდილი ყოველ მიცვალებულს სასაფლაოზე უსვამს ჯვარს.

199

ზოგი ჭირი მარგებელია... იკაროსი და დედალოსი ძირს რომ ჩამოცვივდნენ, ანგელოზებად იქცნენ, საკუთარი ფრთები გამოისხეს და ამის შემდგომ თავიანთ ნებისად დაფრინავდნენ.

(გაგრძელება იქნება)

დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-123

1. დემოკრატია აირჩიეს სტაბილურობის პირობებში

ერთ კვირაზე ცოტა მეტი გავიდა ყაზახეთში 2019 წლის 9 ივნისის ისტორიული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ამ მოვლენამ დიდი ინტერესი გამოიწვია მთელს მსოფლიოში, მსოფლიოს ყველა მასმედიის ყურადღება მისკენ იყო მიმართული. ყაზახეთმა ფართოდ გაუღო კარი ყველა მსურველს, დაკვირვებოდა სახელმწიფოს მეთაურის არჩევნებს, რითაც დაადასტურა არჩევნების თავისუფალი, დემოკრატიული და ლეგიტიმური ხასიათი.

2019 წლის მარტში ყაზახეთის პირველმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ნებაყოფლობით თქვა უარი სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე, რომელსაც იგი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაწყების მომენტიდან იკავებდა. როგორც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რ. ვასილენკომ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე აღნიშნა, ეს დიდი მოულოდნელობა იყო სახელმწიფო მოხელეებისთვის და საზოგადოებისთვის მთლიანად.

კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის უფლებამოსილებანი გადავიდა პარლამენტის სენატის სპიკერზე ყასიმ-ჟომარტ ტოკაევზე. სენატის სპიკერმა 9 აპრილს მიმართა ქვეყნის მოსახლეობას და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა გამოაცხადა.

არჩევნების დღეს ყაზახეთის ტერიტორიაზე გაიხსნა 9 970 საარჩევნო უბანი, მათგან 239 — ყაზახეთის დედაქალაქში და 65 — საზღვარგარეთ. ხმის მიცემა შედგა 9 ივნისს, 7 საათიდან 20 საათამდე, ადგილობრივი დროით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ცესკოს მიერ დამტკიცებულმა 7-მა კანდიდატმა, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ:

ჟამბილ ახმეტბეკოვი — კომუნისტური სახალხო პარტიიდან;

დანია ესპაევა — პარტია „აკ ჟოლიდან“;

ამირჟან კოსანოვი — ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობა „ულტ ტაგდირიდან“;

ტოლეუტაი რახიმბეკოვი — პარტია „აულიდან“;

ამანგელდი ტასპიხოვი — ყაზახეთის პროფკავშირების ფედერაციიდან;

ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი — პარტია „ნურ ოტანიდან“;

სადიბეკ ტუგელი — საზოგადოებრივი გაერთიანებიდან „ული დალა კირანდარი“.



ყოველ კანდიდატს, კანონის შესაბამისად, ჰქონდა უფლება და საშუალება, ჩაეტარებინა შესაბამისი სააგიტაციო ღონისძიებები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე პირდაპირ ეთერში შედგა სატელევიზიო დებატები პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის. კანდიდატებმა წარმოადგინეს თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამები, ხალხს მოუთხრეს სახელმწიფოს განვითარების საკუთარ გეგმებზე, ეკონომიკის გაუმჯობესების და მოსახლეობის სოციალური დაცვის თემებზე.

ჩატარებულ არჩევნებს აქვს ისტორიული მნიშვნელობა თუნდაც იმის გამო, რომ პირველად, თითქმის 30 წლის მანძილზე, მასში მონაწილეობა არ მიუღია ნურსულთან ნაზარბაევს.

ნურსულთან ნაზარბაევი ყაზახეთის სსრ-ის პრეზიდენტად პირველად 1990 წლის 24 აპრილს აირჩიეს. მოგვიანებით, ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ნაზარბაევი კი დიდი უპირატესობით იგებდა ყველა არჩევნებს, იგი უცვლელად მეთაურობდა ქვეყანას 29 წლის განმავლობაში.

გასულ არჩევნებზე აკრედიტებული იყო 1013 დამკვირვებელი 9 საერთაშორისო ორგანიზაციიდან და მსოფლიოს 41 ქვეყნიდან. აკრედიტებული დამკვირ-

2. რუსი და ამერიკელი ექსპერტები თბილისში, მრგვალ მაგიდასთან...

ჩვენს დედაქალაქში საერთაშორისო მრგვალი მაგიდა რუსი და ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით გაიმართა

თბილისის ღია უნივერსიტეტში 17 ივნისს გაიმართა მრგვალი მაგიდა სახელწოდებით „ექსტრემიზმის გამოწვევები და საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები შუა აზიასა და კავკასიაში“.

„მოგეხსენებათ, რომ ყაზახეთის რესპუბლიკას აქვს ნაყოფიერი ინიციატივები და კარგი გამოცდილება, განახორციელოს სამშვიდობო მისიები მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითისათვის ავიღოთ სირია და მოლაპარაკების ასტანის ფორმატი. ეს ძალზე წარმატებული ფორმატია, რომელმაც გაამართლა სირიაში, სადაც ყაზახეთს მაინცდამაინც სერიოზული ინტერესები არ გააჩნია. სამაგიეროდ, კავკასიის რეგიონში, კერძოდ, საქართველოში, ყაზახეთს აქვს თავისი ეკონომიკური, ძალზე მნიშვნელოვანი ინტერესები. ყაზახეთი ჩვენს რეგიონში მსხვილი ინვესტორია, ამიტომ რესპუბლიკა დაინტერესებულია მშვიდობისა და სტაბილობის დამკვიდრებაში“ — გულბაათ რცხილაძემ მასმედიასთან ინტერვიუში.

მისი სიტყვებით, ყაზახეთის მონაწილეობა სამშვიდობო და პოლიტიკურ მოლაპარაკებებში განიხილება, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ჩვენ განვიხილავთ შესაძლებლობას, შერბილდეს კავკასიის რეგიონთან დაკავშირებული მძაფრი საკითხები რუსეთსა და ამერიკას შორის. რა განასხვავებს ჩვენს მრგვალ მაგიდას ამერიკელი და რუსი ექსპერტების დიალოგის სხვა ფორმატებისაგან? პირველ ყოვლისა, ყურადღება ფოკუსირებულია კავკასიის რეგიონზე, რომელზეც გარკვეულწილად დამოკიდებულია შუააზიური რეგიონიც. ჩვენ განვიხილავთ იმ საკითხსაც, თუ რამდენად არსებობს შეხების წერტილები, კომპრომისის მოძებნის შესაძლებლობა. ეს საკითხის ახლებური დასმაა“ — აღნიშნა **რცხილაძემ**.

სომხეთის ევრაზიული საექსპერტო კლუბის კოორდინატორს, ანალიტიკურ-კვლევითი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ინტეგრაცია და განვითარების“ თავმჯდომარე არამ საფარიანი ყაზახეთის საშუამავლო როლს მაღალ შეფასებას აძლევს და მას სწორ მოსაზრებად მიიჩნევს.

„ყაზახეთს შეუძლია, განავითაროს ეს ურთიერთობები და წარმოადგინოს გავლენიანი, ავტორიტეტული პლატფორმა ასეთი დიალოგისათვის. ყაზახეთი ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ასეთი დიალოგის გამართვა შესაძლებელია. ამ ქვეყანას შეუძლია, თავისი იმიჯის განმტკიცებისათვის, როგორც შუა აზიის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ცივილიზაციურ ლიდერს, ხელი შეუწყოს დიალოგს და ყველაფერი გააკეთოს მისი წარმატებისათვის — აღნიშნა **საფარიანმა**.

გარდა ამისა, სომეხი ექსპერტი ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოლაპარაკების პლატფორმის შექმნას სპეციალისტების მონაწილეობით, რუსულ-ამერიკული დიალოგის გაღრმავების მიზნით, რომლის მიზანი გლობალური და რეგიონული საკითხების მოგვარება იქნება: **„თანამედროვე ჰიბრიდული ომები, რომლებშიც ჩაერთვნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, არავის უქადის სიკეთეს... საჭიროა მუშაობა, ამ ვითარებიდან გამოსავლის ძიება, მათ შორის, დიალოგის, სამოქალაქო, პოლიტიკური, საექსპერტო პოზიციების ურთიერთშეჯერების გზით“** — მიიჩნევს **საფარიანი**.

ამავე დროს, იგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად არსებული უთანხმოებისა და წინააღმდეგობრიობისა შეერთებული შტატებისა და რუსეთის პოლიტიკას შორის, იქ, სადაც მათ შეუძლიათ ხოლმე ურთიერთობის დალაგება, მაშინვე თავს იჩენს დადებითი შედეგი.

„ავიღოთ ყარაბაღის კონფლიქტის მაგალითი, სადაც თანათავმჯდომარეები რუსეთი, საფრანგეთი და აშშ არ ავლენენ შინაგან უთანხმოებას და არ გააჩნიათ შინაგანი წინააღმდეგობები. შესაბამისად, ხდება კონფლიქტის შეკავება, იგი არ ღვივდება და არ მიაქვს ათასობით ახალი სიცოცხლე“ — აღნიშნა სომეხმა ექსპერტმა.

მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა, რუსეთის საერთაშორისო საქმეების ექსპერტმა **სერგეი მარკედონოვმა** ძალზე საინტერესოდ მიიჩნია საკითხის მოგვარებისადმი ამგვარი მიდგომა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ არ უნდა ველოდოთ საექსპერტო ჯგუფის მიერ დიდ სახელმწიფოთა პრობლემების მოგვარებას.

„ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები, რომლებიც პრობლემის სწრაფი მოგვარების რეცეპტს გთავაზობთ... თავად მცდელობა, რომ ეს ასე მოხდეს, არის საკმაოდ საინტერესო; უნდა განხილულ იქნას, რამდენად არის შესაძლებელი კავკასიაში ან სხვა რეგიონებში, წინააღმდეგობების შერბილება. მე არ ვიტყვი, რომ პრობლემები გაქრება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია პრობლემების მართვა, ის, რასაც ეწოდება კონფლიქტ-მენეჯმენტი“ — გამოთქვა მოსაზრება **მარკედონოვმა** მასმედიასთან საუბარში.

პოლიტოლოგის თქმით, რუსეთსა და საქართველოს შორის საკითხების დარეგულირება ხშირად ორმხრივ პრობლემებამდე დადის, საერთო-რეგიონული ტრენდები კი დავიწყებას არის მიცემული.

„საერთო-რეგიონულ ტრენდებს არ ვაქცევთ დიდ ყურადღებას და მხედველობაში არ ვიღებთ, არადა, მიმდინარეობს „ცივი ომი ნომერი 2“. ჩვენი ამოცანა იქნება, განვიხილოთ, რამდენად აქვს კავკასიის რეგიონს ამ „ცივ ომ ნომერ ორში“ გარკვეული თავისებურებები“ — მიიჩნევს **მარკედონოვი**.

ამერიკის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების პროგრამის **„რუსეთი და ევრაზია“** მთავარმა მკვლევარმა და დირექტორის მოადგილე **ჯეფრი მანკოფმა** ჩამოთვალა რიგი წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს უშლიან რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების დარეგულირებას. მათ შორისაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რუსეთის მხრიდან საქართველოს საგარეო კურსის პატივისცემა, ასევე ორ სახელმწიფოს შორის ნდობის დეფიციტი.

ვითარების გასაუმჯობესებლად ამ საკითხების გათვალისწინება საჭიროა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სურს ნატოში შესვლა. არსებობს პრინციპი, რომ, მაგალითად, ქვეყანას აქვს უფლება, აირჩიოს ადგილი საერთაშორისო სივრცეში და ამ არჩევანს პატივისცემა სჭირდება. ამერიკის მმართველ წრეებში მიაჩნიათ, რომ საქართველოს საგარეო კურსის პატივისცემა აუცილებელია“ — აღნიშნა **მანკოფმა**.

მანვე აღნიშნა, რომ კავკასიური თემატიკა რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში მხოლოდ ნაწილია ორ სახელმწიფოს შორის სადავო საკითხთა ნუსხაში.

იტალიელმა პოლიტოლოგმა, რომის უმაღლესი გეოპოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის მკვლევარმა **ფაბრისი ვიელმინიმ** ხაზი გაუსვა ყაზახეთის სამშვიდობო პოლიტიკას მსოფლიო მასშტაბით და ამ გამოცდილების გადმოტანა კავკასიის რეალიებზე მისაღებად მიიჩნია როგორც პოლიტიკური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით.

უცხოელი სპეციალისტების გარდა, მრგვალი მაგიდის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა პოლიტოლოგებმა და დაინტერესებულმა საზოგადოებამ: **ბადრი ნაჭყებიამ, აკაკი კარტოზიამ, დავით ფურცხვანიძემ, თემურ ფიფიამ, ვიქტორ ცაავამ, თეიმურაზ მაკარიძემ, ვასილ პაპავამ, ნოდარ ბროლაძემ, ირაკლი გოგავამ, პეტრე მამრაძემ** და სხვებმა.

ღონისძიების ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მომავალში დისკუსიები ამ თემატიკაზე გაგრძელდება, პროექტს კი დაემატებიან ექსპერტები ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ექსპერტების მუშაობა უფრო კონკრეტულ ხასიათს მიიღებს და პრაქტიკაზე იქნება ორიენტირებული.

რევაზ გიორხელიძე

ვებლების ასეთი დიდი რაოდენობა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩაეტარებინათ თავიანთი სამუშაოები. მაგრამ ტრადიციულად, ყველაზე დიდი ყურადღება დიდ ქალაქებზე იყო მიპყრობილი – დედაქალაქ ნურ-სულთანზე, ასევე ალმატისა და აკმოლის ოლქზე. ქალაქ შიმკენტის ახალი სტატუსის გათვალისწინებით, არჩევნებზე იქ დამკვირვებლების დიდი რაოდენობა მოდიოდა.

არჩევნების შედეგებთან დაკავშირებულ განცხადებაში, ეუთოს საერთაშორისო დამკვირვებლების მისიამ აღიარა, რომ ხმის მიცემის პროცესში რაიმე მნიშვნელოვან დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. გამჭვირვალობის და დემოკრატიულობის ატმოსფერო სუფევდა არჩევნებზე და ეს აღიარეს როგორც ეუთოს, ისე შანხაის ორგანიზაციის, დსთ-ის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, ხმის მიცემის პროცესს აშუქებდა უცხოელ ჟურნალისტთა რეკორდული რაოდენობა – აკრედიტაცია მიიღო 227-მა უცხოელმა კორესპონდენტმა მსოფლიოს 40 ქვეყნიდან. მაგალითად, თუკი ამ არჩევნებს შევადარებთ 2015 წლის არჩევნებს, მაშინ დარეგისტრირებული იყო უცხოური მასმედიის მხოლოდ 168 წარმომადგენელი.

ცესკოს მონაცემები ცხადყოფს, რომ არჩევნებზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა, მან ამომრჩეველთა ხმების 70 პროცენტზე მეტი დააგროვა. ეს ნიშნავს, რომ ყაზახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ემხრობა ხელისუფლების მემკვიდრეობითობას, სტაბილობასა და ქვეყანაში ეროვნებათშორისი თანხმობის შენარჩუნებას.

პოლიტიკური სიმწიფე გამოავლინა ოპოზიციამაც. ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის, „ულტ ტაგდირის“ წარმომადგენელმა ამირჟან კოსანოვმა დააგროვა ხმების 16%-ზე მეტი, რაც ყაზახეთის აბსოლუტური რეკორდია. შედეგების გამოცხადების შემდეგ ოპოზიციურმა კანდიდატმა დამარცხება აღიარა და პრეზიდენტად არჩევა მიულოცა ტოკაევს. პოლიტოლოგები ამ ფაქტს აფასებენ ყაზახეთის პოლიტიკურ ველზე განსხვავებული აზრისა და შეხედულებების თანაარსებობისათვის პოზიტიურ სიგნალად.

არჩევნების დღეს პროტესტის გარეშე არ ჩაუვლია. ვიდეოკადრებმა, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ მკაცრად შლის პოლიცია სტიქიურ მიტინგს დედაქალაქში, მსოფლიოს სატელევიზიო არხები მოიარა. მაგრამ საპროტესტოდ გამოსულები არ იყვნენ რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდამჭერები, არამედ მოქალაქეები, რომლებსაც აქეზებს ქვეყნის გარეთ მცხოვრები დამნაშავე ბანკირი და მისი მომხრეები. ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე პატიოსანი, კონკურენტული და გამჭვირვალე ბრძოლის ნაცვლად, ისინი ითხოვდნენ არჩევნების გაუქმებას და უარყოფდნენ ხელისუფლებასთან ნებისმიერ დიალოგს. ასეთ რადიკალურ შეხედულებებს ყაზახეთში დღესდღეობით იზიარებს ქვეყნის მოსახლეობის მიზერული რაოდენობა.

არჩევნებმა ყველაფერთან ერთად გამოავლინა ხალხის მაღალი სამოქალაქო აქტიურობა – 77 პროცენტზე მეტი ამომრჩეველი მოვიდა ამ დღეს საარჩევნო ურნებთან. ეს მოწმობს ამომრჩევლების სიმწიფეს და მომზადებას.

არჩევნების შემდგომმა კვირამ ასევე აჩვენა, რომ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებასა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. ყასიმ-ჟომარტ ტოკაევის არჩევით ყაზახეთმა გააკეთა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევანი – არჩევანი ეკონომიკურად ძლიერი, სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადოების სასარგებლოდ.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ასიფ ქაზუმოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ასიფ ქაზუმოვი (პ/ნ 36001011330), საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯოს რ-ნი, ს. ლამბალო (საკადასტრო კოდი: 55.21.51.233).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20412.38 ლარი დღგ-ს ჩათვლით;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 21 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 5 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60854419;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 608544
6. **მოვალე:** ასიფ ქაზუმოვი (პ/ნ 36001011330), საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6;
ჯახან ქაზუმოვი (პ/ნ 36001019657), საგარეჯოს რ-ნი, ს.ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6;
ელჩინ მასიმოვი (პ/ნ 36001040974), საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-6 ქ. №4;
აზერ ქაზუმოვი (პ/ნ 36001011988), საგარეჯოს რ-ნი, ს. ლამბალო, პირველი ქ. №16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60854419; ლოტის ნომერი: 608544).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 5 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მედიკო ჯღარკავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მედიკო ჯღარკავა (პ/ნ 42001007202), ქ. ფოთი, არსენას ქ. №34.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, მაჩაბელის ქ. №8 (საკადასტრო კოდი: 04.01.07.122).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23776.8 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 21 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 5 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60854519;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 608545
6. **მოვალე:** რევაზ ჯღარკავა (პ/ნ 42001023539), ქ. ფოთი, არსენას ქ. №34.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60854519; ლოტის ნომერი: 608545).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 5 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნოდარ შარმანაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნოდარ შარმანაშვილი (პ/ნ 35001093880), ქ. რუსთავი, 9 მაისის ქ., კორპ. 17, სართ. 3, ბინა 34.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. რუსთავი, 9 მაისის ქ., კორპ. 17, სართ. 3, ბინა 34 (საკადასტრო კოდი: 02.05.05.020.01.034).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23774.82 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 21 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 5 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60855119;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 608551
6. **მოვალე:** ზვიად როსტომაშვილი (პ/ნ 36001011252), საგარეჯო, ს. ნინოწმინდა, მე-10 ქ. №10.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60855119; ლოტის ნომერი: 608551).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 5 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◎ მეექვსე ქართველი ნბა-ში

გოგა ბითაძე დრაფტის მე-18 ნომრად „ინდიანა პეისერზმა“ აირჩია

19 წლის ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „პეისერზის“ მაისურით ითამაშებს. გუშინ ბრუკლინის „ბარქლაი სენთერში“ გამართულ დრაფტზე ინდიანელებმა „ჯვაროსანი“ ცენტრი მე-18 ნომრად აირჩიეს.

ცერემონიის უმთავრესი ფიგურა, მოლოდინისამებრ, ზაიონ უილიამსონი გახლდათ, რომელიც პირველ ნომრად „ნიუ ორლეან პელიკანსმა“ აიყვანა.

1. ზაიონ უილიამსონი — „ნიუ ორლეანი“,
2. ჯა მორანტი — „მემფის გრიზლიზი“,
3. არჯეი ბარეტი — „ნიუ იორკი“,
4. დეანდრე ჰანტერი — „ლოს ანჯალეს ლეიკერსი“,
5. დარიუს გარლანდი — „კლივლენდ კავალიერზი“,
6. ჯარეტ ქალვერი — „ფინიქს სანზი“,
7. კობი უაითი — „ჩიკაგო ბულზი“,
8. ჯექსონ ჰეიესი — „ატლანტა ჰოქსი“,
9. რუი ჰაჩიმურა — „ვაშინგტონ უიზარდსი“,
10. კემ რედიში — „ატლანტა ჰოქსი“,
11. კამერონ ჯონსონი — „მინესოტა ტიმბერვულვზი“,
12. პი ჯეი ვაშინგტონი — „შარლოტ ჰორნეტსი“,
13. ტაილერ ჰირო — „მაიამი ჰიტი“,
14. რომეო ლენგფორდი — „ბოსტონ სელტიკსი“,
15. სეკუ დუმბია — „დეტროიტ პისტონზი“,
16. ჩუმა ოკეკე — „ორლანდო მეჯიქი“,
17. ნიქილ ალექსანდერ-უოლკერი — „ბრუკლინ ნეთსი“,
18. გოგა ბითაძე — „ინდიანა პეისერზი“,
19. ლუკა სამანიჩი — „სან ანტონიო სფურზი“,
20. მატის თიბალი — „ბოსტონ სელტიკსი“,

დრაფტის დასრულების შემდეგ „ინდიანა პეისერზის“ მთავარმა მწვრთნელმა ნეით მაკმილანმა გოგა ბითაძის შესახებ კომენტარი გააკეთა. „პეისერზის“ თავკაცის განცხადებით, გოგას თამაში არ უნახავს, მაგრამ აქვს ინფორმაცია, რომ ასეთ დონეზე თამაში უკვე შეუძლია.

„ბითაძის თამაში აქამდე არ მინახავს, რადგან ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩვენ ავირჩევდით, მაგრამ, როგორც სკაუტებმა მითხრეს, NBA-ში სათამაშოდ უკვე მზადაა. ჩვენ სამი ახალგაზრდა ცენტრი გვყავს, მაგრამ ვფიქრობ ბითაძის სტილი საბონისის სტილს წააგავს“, — თქვა მაკმილანმა.

შეგახსენებთ, რომ „ინდიანა პეისერზმა“ ბითაძე დრაფტის მე-18 ნომრად აირჩია და ჩვენებური დამდეგი სეზონიდან ამ გუნდის ღირსებას დაიცავს.

იგი მეექვსე ქართველი იქნება ნბა-ში ვლადიმერ სტეფანიას, ნიკოლოზ ცქიტიშვილის, ვიქტორ სანიკიძის, თორნიკე შენგელიასა და ზაზა ფაჩულიას შემდეგ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ზედიზედ მესამედ!

ბაზაძემ ისევ „ბრინჯაო“ მოინაგრა

სხვადასხვა ქვეყნის 61 მოხმალავე მონაწილეობდა მოფარიკავეთა ევროპის 2019 წლის ჩემპიონატში, რომელსაც გერმანული დიუსელდორფი მასპინძლობს. მოასპარეზეთა შორის ოთხი ქართველი იყო. მათგან შესანიშნავად იფარიკავა რიოს ოლიმპიური თამაშების მონაწილე 25 წლის სანდრო ბაზაძემ, რომელიც ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონია, ხოლო უფროსებში კონტინენტის პირველობებზე 2017 წელს თბილისსა და შარშან სერბულ ნოვი სადში მხოლოდ ნახევარფინალური პაექრობები დათმო და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. გერმანულ სარბიელზე სანდრომ ჯგუფში ხუთივე მეტოქეს სძლია. დაამარცხა ვინსენ ანსტეტი (საფრანგეთი, 36 წლის, FIE-ს რეიტინგი №21, 5:3), ჯეიმს ჰონიბონი (დიდი ბრიტანეთი, 5:3), იური ცაპი (უკრაინა, 5:4), სიარჰეი კისელი (ბელარუსი, 5:2), ინაკი ბრავო (ესპანეთი, 5:1), პეტარ კოსტადინოვიჩი (სერბეთი, 5:0).

პლეი-ოფში სანდრომ ჯერ მიხეილ მარდალეიშვილს მოუგო - 15:12, შემდეგ დაჯაბნა (15:8) 36 წლის ტამაშ დეში (უნგრეთი) — 15:8, რომელიც გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონატების ერთი ოქროს, 2 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს, ხოლო ევროპის თითო ოქრო-ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მფლობელია. მერე დეჩის კვალს გაუყენა (15:10) მისი თანამემამულე, ასევე, ტიტულოვანი ანდრაშ სატმარი - ინდივიდუალურში მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონი, რომელმაც გუნდურში 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო, ევროპის ჩემპიონატზე კი ერთხელ ოქროს და ორჯერ ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა. მადიართან გამარჯვებით ქართველი მოხმალავე ნახევარფინალში გავიდა და ბრინჯაო გაინაღდა.

ნახევარფინალში ჩვენებურს გადაეღობა რუსი თანატოლი კამილ იბრაგიმოვი — მსოფლიოს ჩემპიონატების 2 ოქროს, ერთი ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს, ევროპის 2-2 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი. მახსოვს, ისინი ერთხელ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ სანდრომ აჯობა ჩრდილოელ მეზობელს, ამჯერად კი იბრაგიმოვმა მიაღწია წარმატებას — 15:11. ბაზაძეს ევროპული ბრინჯაო ზედიზედ მესამე ერგო. რუსი მოხმალავე ვერცხლს დასჯერდა, რადგან ფინალში მას თანამემამულე ვენიამინ რეშეტნიკოვმა სძლია 15:7.

ლექსო ციწცაძე

◎ ოკეანის გაღმა

ვაი მწვრთნელისაგან...

ბრაზილიაში მიმდინარე 46-ე კოპა ამერიკის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში სამივე სამხრეთამერიკულმა გრანდმა წაიფორხილა, მაგრამ თუ მასპინძელთა და ურუგვაელთათვის ქულების გაყოფას რაიმე ხიფათი სატურნირო სტრატეგიის თვალსაზრისით არ შეუქმნია, არგენტინელთა პერსპექტივაკიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა.

როგორც მოგეხსენებათ, კოუტინიოსა და სუარესის გუნდებს სასტარტო შეხვედრები მოგებული ჰქონდათ, ამიტომ უკვე მოგროვებულმა 4-4-მა ქულამ მათ პრაქტიკულად გაუნაღდა პლეი-ოფში გასვლა მაშინ, როცა მესის და კომპანიას ყატართან დასკვნით შეხვედრაში გამარჯვებაც კი ვერ მისცემს წინსვლის გარანტიას, რადგან გარკვეულწილად მათი ბედი სხვა მატჩების შედეგებზეცაა დამოკიდებული.

ლა-პლატელთა ვითარებას განსაკუთრებით მათ ახალგაზრდა თავკაც სკალონის დილეტანტობა ართულებს, რომელიც არაადეკვატური გადაწყვეტილებებით ისედაც კრიზისში მყოფ შეგირდებს დამატებით პრობლემებს უქმნის.

აღმოჩნდება თუ არა მათ დასაძლევად მესის გენია საკმარისი, დამდეგ უქმეებზე გაირკვევა.

არგენტინა — პარაგვაი 1:1, ურუგვაი — იაპონია 2:2.

გიორგი შოთაძე

◎ თაობა

კვარცხლბეკზე ოთხი ავიდა

ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო — ასეთი მონაგრითა და 117 ქულით დაკავებული გუნდური მესამე ადგილით დაასრულა იტალიის ქალაქ ფიენაში გამართული ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი ხვიჩა ქორიძის გაწვრთნილმა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა.

უკვე გაუწყეთ, რომ თანატოლთა კონტინენტური ფორუმის სტარტზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მათე გოქაძე (110 კგ) ავიდა, ხოლო დიმიტრი ხაჩიძემ (55 კგ) მესამე ადგილი დაიკავა.

პარტნიორებს მეორე დღეს კარგად აუბეს მხარი დათა ხაჩიძემ (71 კგ) და ნიკა ბროლაძემ (60 კგ).

ახლო წარსულში საკმაოდ ძლიერი ფალავნის — გელა ჩხაიძის ვაჟმა მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო წმინდად ამავე ასაკში ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ, მსოფლიოს ჩემპიონ და „ძველი სამყაროს“ მეორე პრიზიორ მოლდოველ ალექსანდრინ გუტუსთან და მკერდი ვერცხლით დაიმშვენა, ხოლო ბროლაძემ დამამშვიდებელში ასევე წმინდად დაამარცხა ჯერ ფინელი ნესტორ კალე მიქაელ მანილა, შემდეგ კი ლატვიელი არტურ სესკენსი და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული დელეგაციის ყულაბა ბრინჯაოს მედლით გაამდიდრა.



დავძენთ, რომ გუნდურში „კლასიკოსი ჯვაროსნები“ მხოლოდ რუსებს (178 ქულა) და აზერბაიჯანელებს (135 ქულა) ჩამორჩნენ.

კობა კობახიძე

ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ, მისი ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება და 1 მეტრის რადიუსზე დაბეტონება. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქ რუსთავის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 40 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი რუსთავის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 293 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	129.3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	847 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 24 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 22 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 22 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ თაკარა მზეში

როცა თვალების ცეცება სასარგებლოა

ზაფხულში **თვალებს რომ ჭახჭახა მზისგან დაცვა სჭირდება, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ოფთალმოლოგები დაჟინებით გვაფრთხილებენ, რომ თვალის სათანადოდ დაცვა ყველა მზის სათვალეს როდი შეუძლია. მეტიც, ზოგიერთი მხედველობასაც აფუჭებს! მაშ, როგორი უნდა იყოს ამ მხრივ საუკეთესო სათვალე?**

მთავარი პარამეტრი, რომელსაც სათვალის არჩევისას ყურადღება უნდა მიაქციოთ, ესაა ლინზების მასალა. ექსპერტები გვირჩევენ უპირატესობის მინიჭებას მოდელებზე პლასტიკური ლინზებით, რადგან შუშის ლინზები – მცირედი მექანიკური ზემოქმედების შემთხვევაშიც კი, შეიძლება დაიმსხვრეს და თვალი დააზიანოს.

ულტრაიისფერი სინათლის ზემოქმედებისგან კი თვალს დაიცავს მხოლოდ საგანგებო საფარდატანილი სათვალე. უსაფრთხოა ის სათვალე, რომლის ეტიკეტზე წერია, რომ მას UV-ფილტრი აქვს. უხარისხო მოდელები კი, პირიქით, თვალებს მხოლოდ ძაბავს: ტონირებული მინების გამო გუგები ფართოვდება და ამის გამო ბადურაზე კიდევ უფრო მეტი ულტრაიისფერი სხივი ხვდება. თავის მხრივ, ეს მხედველობის გაუარესებას იწვევს.

ასევე არ ღირს ისეთი სათვალის შერჩევა, რომლის ლინზებს დაჩრდილვის სხვადასხვა ხარისხი აქვს: მაგალითად, ზედა ნაწილი უფრო ბაცია. ასეთი ლინზებიც თვალს ღლის, ამიტომ გამუდმებით მათი ტარება საზიანოა.

მნიშვნელობა აქვს სათვალის ფორმასაც – რაც უფრო ფართოა, მით უკეთესი.

გასათვალისწინებელია ლინზების ფერიც, რომელიც ასევე მოქმედებს თვალების მდგომარეობაზე. **ყველაზე უსაფრთხოა სათვალე მუქი რუხი, შავი, ყავისფერი ან მწვანე ლინზებით. ყვითელი ან ნარინჯისფერი სათვალის ტარება კი კატეგორიულად დაუშვებელია!** ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ფერები ნერვულ სისტემას აღაგზნებს და ზრდის თვალის შიდა წნევას. **კიდევ უფრო მეტად საზიანოა წითელი ლინზები, რომელიც ჩვეულებრივ ფერებს ამახინჯებს და უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.**

ცისფერლინზიანი სათვალე კი მხოლოდ აქსესუარად თუ გამოდგება, ვინაიდან მზისგან თვალებს თითქმის არ იცავს.

თანაც აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, რომ სწორად შერჩეული სათვალეც კი ძალიან დიდი ხნის მანძილზე არ უნდა ატაროთ, რადგან ეს, საბოლოო ანგარიშით, მაინც აფუჭებს მხედველობას. სათვალე მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენოთ, როცა ნამდვილად გჭირდებათ. შენობაში სათვალე აუცილებლად მოიხსენით, რითაც თვალს დროდადრო დაასვენებთ. კიდევ უკეთესი, თუ ხანდახან თვალის საგანგებო ვარჯიშსაც გააკეთებთ: **საამისოდ ახლომდებარე საგნებიდან მზერა შორეულებზე გადაიტანეთ, შემდეგ მიმართულება შეცვალეთ. ასევე ეცადეთ, თავის მოუტრიალებლად ყველა მიმართულებით მიმოიხედოთ.**

ნინო ალექსანდრია

ულოცავენ

რევაზ თევზაძე 88 წლისაა



პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ ა. წ. 22 ივნისს დაბადებიდან 88 წლისთავს ამავე საზოგადოების თავმჯდომარეს, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების გამორჩეულ წარმომადგენელს, ქართული ნავთობისა და გაზის მრეწველობის ყოფილ ლიდერს, საქართველოს სამრეწველო მნიშვნელობის წიაღისეული საბადოების: შაორის (ნახშირი), მადნეულის (სპილენძი, იშვიათი ლითონების, ნახევარლითონების და ბარიტის), საქართველოს ფერადი ლითონების გეოლოგიური ძიების კომპლექსური ექსპედიციისა და ქართული ნავთობისა და გაზის (სამგორის, პატარძეულის, ნინოწმინდისა და სამხრეთ თაღის) გეოლოგიური ძიების, მარაგების დამდგენი და დამტკიცების ოპერაციების შემსრულებელი კოლექტივების ყოფილ თავკაცს, საქართველოს საინჟინრო და ეროვნული ენერგეტიკის აკადემიების აკადემიკოსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირს, სახელმწიფოს ხუთი უმაღლესი ორდენის კავალერს, ძმობის, მეგობრობისა და ადამიანური ურთიერთობების „უსტაბაშს“, უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

რევაზ თევზაძეს

სულით ხორცამდე ქართველო,

ძვირფასო
ბატონო რევზო!

„საქართველოს რესპუბლიკელები“ ძმურად გისურვებენ ვაჟკაცობის დაუშრეტელ საბადოს საუკუნემდე ამჟამინდელი მხნეობით მისვლას, რასაკვირველია, ჩვენთან, შენს ერთგულ მეგობრებთან ერთად. ვერც ნავთობი და ვერც გაზი შენი გულის დონეზე ვერ ათბობს შენი მადლიერი თითოეული ქართველის გულს!

სატელევიზიო გადაცემები მკვლელობისა და თვითმკვლელობის მაბიძგებელი ფაქტორია

პირველი მითითება თვითმკვლელობის მიბაძვითი ხასიათის შესახებ ევროპაში გავრცელდა მას შემდეგ, რაც მე-18 საუკუნეში გამოქვეყნდა **გოეთეს** რომანი თვითმკვლელობის შესახებ – **„ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“**, რაც ვერტერის სინდრომის სახელითაა ცნობილი. სამწუხაროა, რომ საქართველოს ტელეგადაცემებში მკვლელობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები ფართოდ და დეტალურად შუქდება. სატელევიზიო გადაცემებში უჩვენებენ სისხლს, სისხლიან დანებს, გარდაცვლილებს, ჭრილობებს და სხვა. ტელეგადაცემების წამყვანი ჟურნალისტის შემდეგ, მკვლელობის შესახებ საუბრობენ მეზობლები, ახლობლები, შემდეგ ექიმი, რომელიც დაწვრილებით აღწერს, თუ რა სიღრმის და რამდენი ჭრილობა მიაყენეს დაზარალებულს. ბოლოს, პოლიციის წარმომადგენელი მსჯელობს დანაშაულზე და მოსალოდნელ განაჩენზე.

ამერიკაში სპეციალურად იქნა შესწავლილი თვითმკვლელობების შესახებ ტელევიზიით გავცელებული ინფორმაციის გავლენა ადამიანთა ფსიქოემოციურ მდგომარეობასა და თვითმკვლელობაზე. თვითმკვლელობის ტელეგადაცემის შემდეგ, ამერიკაში ორი თვის განმავლობაში თვითმკვლელობის შემთხვევები 58-ჯერ გაიზარდა. 2013 წლის 80-იან წლებში მატარებლის ბორბლებში ჩავარდნის გზით სტუდენტის სიკვდილის ტელევიზიით ჩვენების შემდეგ, 15-19 წლის ახალგაზრდებში თვითმკვლელობის შემთხვევები 200%-ით გაიზარდა. მეტროში თვითმკვლელობის შემთხვევის ტელევიზიით გახმაურების შემდეგ მეტროში თვითმკვლელობის შემთხვევები გახშირდა. ამის გამო CNN-მა აკრძალა გარდაცვლილებისა და სისხლიანი დანების ჩვენება ტელევიზიით. ალბათ, დროა, ჩვენი ტელევიზიის წარმომადგენლებმაც მიიღონ მსგავსი გადაწყვეტილება, ვინაიდან ასეთი გადაცემები ანგრევს ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ფსიქიკას (Aleksidze N. Psychobiological, Basics for the Formation of killer Organisms Psychology & Psychobogical Research International Journal, 2018). ვფიქრობ, მსგავსი განცხადებებისათვის შეიქმნას სპეციალური ფორმატი გაზეთისთვის, როგორც ეს ადრე იყო, რაც არც თუ ცუდი ბიზნესი იქნება, სადაც მოქალაქეები გამოხატავენ გარდაცვლილთა მიმართ ახლობლების თანაგრძნობას.

ნუგზარ ალექსიძე,
პროფესორი

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ დღესასწაული

ყოველთა წმიდათა კვირიაკე

პეტრე-პავლობის მარხვის აღება

23 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოველთა წმიდათა კვირიაკეს.

* * *

პეტრე-პავლობას წინ უძღვის ე. წ. მოციქულთა მარხვა (პეტრე-პავლობის მარხვა), რომელიც იწყება ყოველთა წმიდათა კვირიაკეს (უფრო ზუსტად კვირიაკის მეორე დღეს) ორშაბათს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პეტრე-პავლობა ხსნილია თევზით. მარხვის დღეთა რიცხვი ყოველწლიურად სხვადასხვაა...

პეტრე-პავლეს სახელზე საქართველოში მრავალი ეკლესიაა აგებული, ქუთაისის, საგარეჯოსი, თბილისის პეტრე-პავლეს სახელობის სასაფლაოს ეკლესია აშენებულია 1848 წელს კეთილმოწესე დეკანოზ გრიგოლ ჭრელაშვილის დახმარებით და ელისაბედ გოგიჩიან-მაჭავარიანის მიერ მოგროვილი თანხით...

საგულისხმოა ისიც, რომ პეტრე-პავლობის მარხვას „ზაფხულის“ მარხვასაც ეძახიან.

გიული ლიპარტია

დედოფლის „ხუშტურები“

ბუკინგემის სასახლის ყოფილი შეფ-მზარეულის ჯონ ჰიგინსის აღიარებით, ლანჩზე (შუადღის საუზმეზე – რედ.) ინგლისის დედოფალმა, 92 წლის ელისაბედ II-მ შეიძლება თავს უფლება მისცეს და ცოტაოდენი ჯინი დალიოს. ამასთან, არის რაღაც-რაღაც სურსათი, რომელიც დედოფლის სუფრაზე არასდროს მოხვდება.

მათ შორისაა მაკარონი, სისხლიანი ბიფშტექსი, ბრინჯი, ნიორი და ხახვი, ხრაშუნა ქერქიანი პური, რძიანი დაშაქრული ჩაი, არასეზონური ხილი და ბოსტნეული, ბანანი.

ჩაროზად დედოფლისთვის ჩვეულებრივ მარწყვის ან თეთრი ატმის ჯემს უმზადებენ. გარდა ამისა, ელისაბედ II-ს უყვარს შოკოლადის მუსი და ბისკვიტი, ტრაპეზს კი, როგორც წესი, ბოკალი შამპანურით ასრულებს.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 22 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7798; ევრო - 3.1406;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5348;
100 რუბლი - 4.3922; თურქული ლირა - 0.4840;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6393;
1000 სომხური დრამი - 5.8155.

ამინდი 22 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +30
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +31
თბილისი: ღამე +19, დღე +33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge